

მწყმისი



მე ვარ მწყმისი კეთილი: მწყმისმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწემედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოკვდიოთ ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მამიენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 11—12

1883—1894

1—30 აგნისს.

რედაქციისაგან.


1) უმოწილესად ვსთხოვთ ეველას, რომ წერილის გამოგზავნის დროს მარკები არ დააკლონ წერილს, რადგან შემდეგ ფოსტა ერთი ორად ითხოვს მარკების ფასს. ამისთანა გარდასახად-დადებულ წერილებს რედაქცია არ მიიღებს.

2) «მწყმისი»-ს რედაქციის სტამბაში იმეჭონება ყოველ კვარის სავადო უწებების, მოწმობების და გამოწერილობათა ბლანკები და ვინც მანეთზედ ნაკლებს არ მოითხოვს სხვა და სხვა კვარ ბლანკებს, იმათ ფოსტის განსავსავნი ფული არ გამოერთმევათ.

3) ზატარა იაფ-ფასიანი ხატები მაცხოვრის, ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგის და თორმეტ საუფლოთა მიღებულთა ორ-ორი და სამ-სამი ათასი და მთხოვნელებს გაგზავნებათ ფოსტით დაუეოვნებლივ.

საზოგადოების საგულისხმოდ.

მინც კი აღვევებს თვალ-ყურს ჩვენს ქართულ მწერლობას, დაბეჭდილ წიგნებში და ღროვამოშვებით გამოცემებში მოქცეულს—უეჭველად აღიარებს, რომ იშვიათად მიაკვლევს მკითხველი მათში გარკვეულს





და ყოველმხრივად დასრულებულს დასურათხატებას ჩვენის წარსულის ყოფამდგომარეობისას. რაც უფრო ჩვენ დროზე დაშორებულ ხანას ავიღებთ, მით უფრო და უფრო მცირე ცნობებს ვაპოვებთ, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, უახლოეს დროის შესახებაც არა გვაქვს ყოველივე გათვალისწინებული. რამოდენიმე თავგამოდებულ მოღვაწეს და ისტორიის მკვლევარს თუ აქვს ჩვენში ეს ნაკლი ცოტათ მანაც აშორებული, თორემ დანაშაულები მკითხველი ხომ, მარტო დასტაბულის მასალის შემჩრე, ამ ნაკლთან არის თან-შეზრდილი. სხვა ბევრ წერალთან მიზეზს რომ არ გავწყვეთ, აქ უმთავრესად ის უნდა ვიგულოთ, რომ ბევრი შესანიშნავი და ზრდილ საჭირო მასალა, ჩვენის წარსულის ცოტად თუ ბევრად დამახასიათებელი, ჯერაც მხოლოდ საიდუმლოდსავე ერთის ან ორის პირის ხელთაწერის წამკითხველისათვის, არის მარტოდ ცნობილი, ან და ობლად შეთენილი, სხივ-მიუკარებელი ჯერაც ელის წამკითხველს. როდესაც სხვა ერთი მცირეოდენ, წერილთან ცნობასაც კი ჰპოვებდათ თვის წარსულის შესახებ და თვის თავგადასავლის გამორკვევად ამყარებს თვის შინაარსიანობას და ძალას, რათა ამით დაიკვეთოს მომავლის ძალაც და თავმოწონდაც შეიტანოს თვისი წვლილი საერთოდ კაცობრიობის წინსვლელობის ნაკვალევში, თამამად მოითხოვოს კაცობრიობის წინაშე ზნეობრივი უფლება თვის თვის დაუბრკოლებელის არსებობისა და მარჯვეთაც წადგას თვის მხნე ფეხი, გონება-ზნეობას საგზლით აღჭურვილმა, თვის მომავლის არსებობის გასაადვილებლად—ჩვენ თავაუტყენლად ვჰპარპაშებთ სამშობლოდს ყოფამდგომარეობის უეცრობის ბურანში და თითქო სხვებისაგან მოველით, ამ თავგამოდებულ შრომა-მოღვაწეობას: სამერძისოდ გადავიდეთ ეს საქმე, უხსოვარის დროიდან წვა-დაგვას ძლიერ ძლიერობით აშორებულის მასალისათვის თამამად შეგვიქცევა ზურგი და მიხრდილული გონების საუჯე თათქოს განგებ აკვითვალწუნებია; თვისი მართლადაც და შინაარსიანი რაინდული წარსული თანამედროვე გაცულებულ ყოფამდგომარეობით დაგეაწყვდადებია, ნაცვლად

ოცდა სამის საუკუნის გარკვეულ დახასიათების წინ წამდგომარეობისა, მხოლოდ უკანასკნელ ნახევარ-საუკუნის ყოფამდგომარეობა ჩვენის სახის გამომეტყველ უტყუარ სარკვე მიგვიჩნევია და ეხლანდელი მრავალ მიზეზთა მეოხებით მოღმეჭილი თვისი სახე ვითომდა ოცდა სამის საუკუნის ჩვენის იერის, ნიშან-წყალის სურათად დასახული, კადნიერად გამოგვიქვეყნებია. კიდევ კარგი, რომ რამოდენიმე თავდადებული მკვლევარი გვეოლია და გვეყავს, რომელთა წყალობით მკითხველ საზოგადოებას ზოგაერთი ხანა ან მხარე მანაც აქვს გაცნობილი ჩვენის წარსულის ყოფამდგომარეობისა, თორემ დაღუპული იქნებოდა სულ ჩვენი საქმე. მაგრამ მარტო ესეც ხომ არ კმარა. ამის მიზეზი, ვიმეორებთ, მრავალია; ბევრიც შეიძლება ითქვას ჩვენ გასამართლებლად ანუ გასამტყუნებლად, მაგრამ სამწუხარო შედეგი მანაც რჩება. ჭეშმარიტი მცოდნენი ჩვენის წარსულის ყოფამდგომარეობისა რომ ცალკე ვაგულისხმობთ, დანაშაუნი საზოგადოება,—რასაკვირველია საკუთარ ნიადავისადმი ზურგ-შექცეულთა გამოკლებით—ჩვენის წარსულის შესახებ ან ქება-გლოვებაშია და ან გინება-უმადღურობაში; ორივეს კი თვისი რწმენა შეუმცდარი ჰგონიათ. რომელი მხარე გავამტყუნოთ—ჩვენ აქ ამას არ შეუდგებთ; მარტო ბრალდებლობას ყავარჯენი არ გვიშველის და ვაი თუ საზოგადოდ ბრალდებლობას შეჩვეულებმა რიგინი და საჭირო პირი ბევრი დაესაჯოთ და ჩვენის ჭაბანწყვეტით კი ნამდვილ ბრალიანი და დასასჯელი პირი უფრო გავახაროთ და სხვის საქვლებოდ გავიხადოთ საქმე.

რომელი მხარე გამართლდება—ეს მომავლის საქმეა, რასაკვირველია, მაგრამ რომელი უფრო აღვილად გავგიტენებს—აქ ესაა თავი და ბოლო. გინება-უმადღურობით მონაგონი წარსული ისე აღრე გამოგვიცილის ნიადავს და დაგვანურდავებს, რომ სრულებით მოგვისაობს სიყვარულს და შრომას წარსულ ყოფამდგომარეობის გამოკვლევისას, დაგვამდაბლებს, როგორც თვის თვალში, ისე კაცობრიობის თვალშიდაც და ამით მალად მიგვახალებს გათახსირებას. ქება-გლოვა კი ზოგაერთს უსარგებლოთ მიანია;



მაგრამ თუ ეს გრძობა შეეუფარდეთ ჩვენს თანამედროვე პირობებს, მაშინ უეჭველად ამ გრძობას უფრო საჭიროდ და სასარგებლოდ მივიჩნევთ. გარდამეტის და უღალავო ქების მომხრენი კი არ უნდა ვიყოთ და არც სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს, რომ წარსულ ის ქება-დიდებას ღალატისა მხოლოდ ჩვენს წუთიერ კმაყოფილებას უკმობს გუნდრუკი, წინმსვლელობის იმედი და შრომა კი სულ დაგვიტოვუნოს, არამედ უნდა თანავუგრძნოთ იმ დადინჯებულ ქება-გლოვას და ჭირისუფლობას, რომელიც გამჭირახად ჩაგვახედებს თავის წარსულში. იქნება მაშინ ჭკუა-დამჯდარათ გავითვალისწინოთ ჩვენთვის სავალალო ასპარეზის წარსული თავგადასავალი და მდგარ შრომასთან ერთად შესისხლხორციებით მალე შევესწროთ თავისიანობის შეგნებას. სხვა და სხვა ჭიანჭველას თავგადასავალიც კი იზიდავს მკვლევარს, და სანუკარ, სავალალო კითხვადაც ისახება და ნუ თუ ოცდა სამის საუკუნის, თუ მეტის არა, თავშენახულმა ერმა უფრო მეტ სანუკარ საგნად არ უნდა მივიჩნიოთ ჩვენის თავგადასავალის ცოდნა და გამოკვლევა. ქართველებს არასოდეს არ შემოგვლევია თავმოყვარეობა; პირ-იქით უნდად თუ გვაქვს მონიჭებული ეს გრძობა ბუნებისაგან, თორემ ნაკლოვანი ამაში არასოდეს არ ვყოფილვართ. კიდევაც ამ ქედ-დაუდრეკელობასა და თავ-მომწონეობისათვის გამკლავებია ბევრჯელ ჩვენი საქართველო მრავალ გვარ მოსეულ მტერს და არ დაექვლივინა არავის; გამოვიარეთ ისეთი მტარვალობით მქშინაფი დრო, როდესაც ბრალიან და უბრალოს ტლანქის ძალით აღჭურვილ რამოდენიმე ჯურის მტარვალთაგან მუსრი ევლებოდა, მოვალწიეთ ამ მეცხრამეტე საუკუნემდე, რომელსაც განათლების გვირგვინობას აჩემებენ და როდესაც არამც თუ ადამიანთა ჯგუფის, ტომის, არამედ თვითეულის პირის თავისუფლებასაც კი უზრუნველ-ყოფილად ჰსახევენ. ჩვენც რა გვეთქმის? გვრწმენინ და ვჰსასოებთ... ნეტავეს საუკუნე მართლაც ასეთ მკურნალ საღებუნათ მოვლენოდეს ჩვენ ძველ იარებს და ჩვენზედაც ეჩინოს ისეთი ნუგეშსრული გამაბედნიერებელი ხელმძღვანელობა, და ჩვენ საზოგადოებასაც სხვა სასარგებლო გრძობებთან ერთად იმდენი მაინც დაშთნოდეს დადინჯებული თავმოყვარეობა, რომ ზემოდ მოყვანილ ჭიანჭველებზედ დაქვეითებულად არ ჩავთვალოთ თავისს წარსულის სანუკარობა, და თავისიანობის

გარკვევა-შეგნებისადმი გზა უფრო სავალალო და სასარგებლო საემედ მიემჩნიოს, როგორც თავის თავისათვის, აგრეთვე კაცობრიობისათვისაც. თავისიანობის შეგნება-გამოკვლევს საჭიროებას მართლ საკუთარი თავმოყვარეობა კი არ უნდა ვვალადებნივდეს, არამედ ის კაცობრიობის მსოფლიო ცნობის-მოყვარეობაც, რომელიც ერთ-ერთ მისის წევრის თავგადასავალის გამოამჟღავნებაში, სიამაოდ უნდა გვიახლოვდეს თვალს, ყურს, გულს და ჭკუას: ხილვად შრომით დაღარულის სახისა და ნაჭირნახულგვისა, სმენად სულის-კეთებისა, თანაგრძობად დაუღლებულ ვარამითგან ზე-აღზიდულ წმიდა რწმენა-იმედისა და შეგნებად არსებობის საჭიროება-დანმარებისა.

ბოლიშს ეხილი, პატივცემულ მკითხველთან სიტყვის გაგრძელებისათვის, მაგრამ ეს ორიოდ სიტყვა გვათქმევინა ჩვენ თავზე მოპარპაშე უცნაურობამ, ძვალსა და რბილში გამჯდარმა გულგრალობამ და ვნებად მოვლენილმა გაუტკვევლობამ, რაიც მხოლოდ აღგვას გვექადის ჩვენ. ნუ თუ უმთავრესი ბრალი სხვა მრავალთა აქ დაუაახლებელ მიზეზთა გარდა თავისიანობისადმი ზურგ-შექცევას არ უნდა დავსლოთ, იმ ზურგ-შექცევას, რომელიც ეხლა ზოგიერთს სიმამაცის ხმალი-კაპარქად მიუჩნევია და ვითომდა რაინდობის უტყუარ ბეჭდვით მიუთვალვია. ეიმეორებთ, რომ გარდა რამოდენიმე ნამდვილ მოღვაწისა, რომელთა პატივისცემა და მართლაც მატანეში მოსაქცევი გამარული შრომა-ღვაწლიანობა თვალის წინ გაგვშლია და გვეშლება—ბრბო საზოგადოებისა თავის ყოფამდგომარეობის შესახებ ჯერაც უფიცობას არ გაშორებია. ამ წინ-მსვლელობის ნელიადობას და ფერნამკრთალობას არაფერი ეშველება, ვიღრე არ ვაუთვალისწინებთ საზოგადოებას ჩვენს, ძველთაგან ნაჭირნახულვე ეროვნულ ავლადიდებას, სიამ-კარგის გამორკვევით შეიარაღებულს, თანამედროვე პირობებთან შეფარდებულს და მეცნიერების ბრძმედში გავლებულს. მაშინ, იმედია, მსოფლიო მეცნიერების იარაღის შემოშველებით უფრო საფუძვლიანად მოვიმკით იმ ყანას, რომლისადმი სასამსახუროდ დავსახხა თვით ჩვენმა ბუნებამ და წარსულმა; მაშინ, იმედია, უფრო საფუძვლიანად გავითვალისწინებთ ყოველივეს, რაც კი საზოგადოებას საარ-

სო მისასწრაფელ საგნად, უზენაესს მიზნად უნდა დაეუ-
სახოთ, რათა დაეუკვეთოთ მას ბუნების ნაირნაირო-
ბის ერთ-ერთი წარმომადგენლობა.

მამულის შვილი.

P. S. მაშასადამე ერთ-ერთ სატრუიალო და
უსაქიროეს საგნად უნდა მივიჩნიოთ ჩვენის
ყოფამდგომარეობის დამახასიათებელ ცნობების
გამოაშკარავება და გამოკვლევა; შეიძლება ეს ცნო-
ბები შეუმუშავებელიც იყოს და უცხოეთის ღრმა
მეცნიერთა განსპეტაკებულ ცნობებზე გაჩეუელ თვალს
ეხამუშოს და ძალიან არეულ-დარეულად ეჩვენოს,
მაგრამ რა გაეწყობა: თუ თავ-აუღებელ, შესანიშნავს
მკვლევარს ჩვენის წარსულისას მხოლოდ მგრამისისაგან
მოველით, ხელთაწერ მწიგნობრობის მრავალ და
საყურადღებო ცნობებს მაინც ნუ დაეუკრძალავთ
თანამედროვე საზოგადოებას, შეუმუშავებლადაც რომ
იყოს. თუ ოდნავ მაინც საყურადღებო მასალა გვეგუ-
ლება, ჩვენის ყოფამდგომარეობის დამახასიათებელი,
მოვალენი ვართ ქვეყნის წინაშე ეს ცნობები ადგილ-
საცნაურად გაეხადოთ ე. ი. დაესტამბოთ. ეგების
მაშინ შესუსტდეს ან და სულ მოისპოს გულ-გატე-
ხილობა და აბიაბრუება ქართულ მწერლობისადმი,
ჩვენის საზოგადოების უმრავლესობისა, რომელიც
ქართულს მწერლობითს ავლა-დიდებას მხოლოდ
უკანასკნელ წლებში დაბეჭდილ მასალით ზომავს
და სათავეს კი დიდი მდიდარს და მნიშვნელობით
აღსავსეს, ხელთაწერებში დაკრძალულს, სრულიად
არ იცნობს. როდესაც ყოველგვარი ქართული მასა-
ლა გამოქვეყნდება და საყანვ ასპარეზი მომზადდება,
მაშინ, იმედა, ეს გულგატეხილობაც სასოებას დაუთ-
მობს ალაგს და მხენელ-მთესველიც უფრო ხალი-
სიანად შეეწყობა მუშაობას. ჩვენაც ლითონ სიტყვად
რომ არ შეგვრჩეს ეს გაჭიანურებული საუბარი,
გესურს ამ ჟამად გვაეცნოთ ქართველ საზოგადოებას
ერთი შესანიშნავი ხელ-აწერი, რომელიც ეკუთვნის
გიორგი XIII შეილის, ბატონიშვილის იოანეს მშრო-
მელ და ნიჭიერს კალამს. ეს ხელთაწერი, თვით

შემთხველის ხელით დაწერილი, იმეკონების პეტერ-
ბურლის საჯარო წიგნთ-საცავში. აქ არ შევეუღებოთ ამ
ხელთაწერის გარჩევას, მაგრამ ვთხოვეთ საზოგადოე-
ბას გულდასმით გარდაკითხვას. თითქმის ყველა იპას
ჰტიქრობს, ვითომდა ჩვენს ძველებს ხანჯლის ტრიალისა
და სისხლის ღერის მეტში არაფერში ეჩიანოთ თავი.
ეს იყო უმთავრესი საზრუნავი და სხვა მოქალაქეობ-
რივ მოღვაწეობისათვის არაფრად იტკიებდნენ თავ-
საო, ქვეყნის გაუმჯობესობას რას დასდევდნენ, ოღონდ
თავისი პირადი საქმე არ დაზარალებოდათო. მაგრამ
წარსულის უფიცობას, რასაკვირველია, ბევრი ასეთი
აჩქარებული და დაუკვირვებელი დასკვნა მოჰყვება.
აი ამ აზრის მლაღადებელთა გასამტყუნებლად და
გულ-შემატკივარ პირთა საგულისხმოდ ერთ-ერთ სა-
ყურადღებო მასალად მიგვაჩნია იოანე ბატონიშვილის
წინადადების გამოქვეყნება. ეს ფრიად საყურადღებო
მასალა ნათლად ამჟღავნებს, რომ ხმალ-ხანჯლის
გამწვავებულის ტრიალის დროს ქვეყნის ცულ-
შემატკივარნი პირნი სხვა მოღვაწეობასაც არ აკლებ-
დნენ ხელს; ეს მასალა ცხადი ნიშანია მისი, რომ
წარსულ საუკუნის დამლევს ბევრი ისეთი სასარგებლო
და გამჭრიახი აზრი ტრიალებდა ჩვენში, ბევრი ისეთი
გონივრული საშუალება ისახებოდა, რომელიც თითქ-
მის ეხლა-ხანად მოჰყავთ სისრულეში ზოგიერთ
სხვა ქვეყნებს. ვთხოვეთ დაბეჭდოთ ეს მასალა ქურ-
ნალ «მწყემსში» და დანარჩენ მასალასაც შემდეგ
მოგაწვდით, ვინაიდან სრული დარწმუნებულნი ვართ,
რომ თანაგრძნობით მიიღებთ ამისთანა საისტორიო
მასალებს და ადგილს მისცემთ თქვენს გამო-
ცემაში *).

მ. შ.

*) ღიღის სიაზოგნებით გუბეჭდავთ ამ სტატიას, და მზად
ვართ ყოველთვის ადგილი დაუთმოთ ყველა იმისთანა საისტო-
რიო მასალას, რომელიც ასე თუ ისე შეეხება ჩვენს წარსულს
და აწყო ისტორიას. ამ სტატიასთან გამოგზავნილს მართლაც
შესანიშნავს მოხსენებას იოანე ბატონიშვილისას გუბეჭდავო
ამავე №-დამ.

რედაქტორი.



რას არის ცოდვების მისატყვებელი ქაღალდი?

ეგნატე ინგოროყვას დასაფლავების ამბის მომთხრობი გაზეთს «კვალში», სხვათა შორის, სწერს: «ეკლესიაში წირვის შემდეგ მიცვალებულს წესი აუტეს და ბოლოს მღვდელმა დასტამბული ქაღალდის ნაწიბური დაადვა კებოზე და ჭირისუფალს უთხრა: «ეს ცოდვების მისატყვებელი ქაღალდია და იცოდეთ ათ შაურად დირსო». ჭირისუფალმა უკვლას გასაგებად უთხრა: «აიდე, მამაო, ეგ ქაღალდი; ჩემი მიცვალებული არ საჭიროებს მაგ ქაღალდსო. მღვდელს შერცხვა და დასტამბული ქაღალდი უკან წაიღო».

სწორეთ სამწუხარო ამბავია! სამწუხაროა იგი როგორც სამღვდლოთა ისე საერო პირთათვის. მე მღვდელი ვარ, მაგრამ ჯერ არ გამოგონია, რომ სადმე იყიდებოდეს «ცოდვების მისატყვებელი» დასტამბული ქაღალდი და ისიც ათ შაურად! გურიაშიდ საიღამ გაჩნდა ეს «ცოდვების მისატყვებელი» ქაღალდი? საერო წოდების პირნი რომ წაიკითხვენ ამ ამბავს, რასაკვირველია, მწუხარებასთან სინარულსაც იგრძნობენ, რომ მღვდელმა ვეღარ გაასაღა და უკანვე დაიბრუნა ეს «ცოდვების მისატყვებელი ქაღალდი»-ო...

რას გრძნობას დაბადებს ეს ამბავი ზოგიერთ მკითხველებში? რას არ აფიქრებინებს ეს ამბავი ერის კაცს, რომელიც ცოტა სხვა აზრით უყურებს სასულიერო წოდებას და უკვლასაფერ საეკლესიოს... და ამისთანა უბრალო შემთხვევით, ზოგიერთების ამისთანა უმართებულო საქციელით იბღალბება შვენიერი ჩველება, შვენიერი წეს-წყობილება ჩვენი ეკლესიისა. ნშირად მოხდება, რომ ცუდმა ჭურჭელმა სასმელი წაახდინოს. მრავალნი სასმელის უვარვისობას თვითონ სასმელს მიაწერენ და არა ჭურჭელს, რომელშიაც ესნა სასმელი. ასე სჯიან სასულიერო წესების შესახებ ზოგიერთი საერო პირნიც...

სამწუხაროდ ჩვენში გაზეთები ნშირად იმისთანა ამბებს მიაქცევენ უურადლებას, რომელიც საყურა-

დღებო არ არიან და ამისთანა ამბებს, რომელიც მართლაც საყურადღებოა, იმათ გი სრულებით უყურადღებოთ სტოვებენ. ჩვენს ეკლესიაში არავითარი ისეთი წესი არ არის არც ერთი საიდუმლოს და სხვა მღვდელი მოქმედების შესრულების დროს, რომ იგი წინააღმდეგი იყოს და ვინმეერისკაცმა დაიწუნოს და სთქვას, რომ ამას მე არ ვსაჭიროებო. ჩვენ არ გვჯერა, რომ სადმე აღმოჩნდეს ისეთი მღვდელი და ის საბუყვები სთქვას, რასაც აღაპარაკებს «კვალის» მოამბე ინგოროყვას ანდერძის ამგებ მღვდელს. არ გვჯერა, რომ ამისთან საწინააღმდეგო საქციელი ჩაიდინოს მღვდელმა...

წესის აგების დროს, მართალია, მღვდელი წაიკითხავს გარდაცვალებულზე მენდობის ლოცვას. ამ მენდობის ლოცვაში მღვდელი ევედრება ღმერთს, რომ მან შეენდოს უოველი მეცოდება გარდაცვალებულს, რომელსაც შეუცოდავს ამ ქვეყნაზედ ვითარცა კაცს ხორციელს და ევედრება ღმერთსა და მის წმიდათა, რომ განუსვენოს გარდაცვალებულის სულსა, სადაც განისვენებენ მართალნი სასუფეველოში. ეს ლოცვა კურთხევანში არის დაბეჭდილი, მაგრამ იგი ცალკე არის დასტამბული და ეწოდება მენდობის ფურცელი. ამ ფურცელის ფასი გარდაწყვეტილია 6—2წ კაპიკამდის. განონით გამოცხადებულია, რომ, თუ მღვდელმა მეტი გადაახდევინა და ეს დამტკიცდა, ერთი შაურიც რომ იქნეს მეტი გარდაახდევინებული, მღვდელი ამისთანა საქციელისათვის მედავითნის ადგილზე უნდა ჩამოიყვანონ. იქნება გვითხრას ვინმემ, რომ არც ამას უნდა ახდევინებდენ ხალხსო. ჩვენ უნდა მოვახსენოთ ამისთანა პირთ, რომ ეს, მაინცა და მაინც, გარდაცვალებულთა ჭირისუფლების უნებურად გი არ ხდება, არამედ მათის ნებით. იქნება ისიც იფიქრონ, რომ აქედამ ადებელი ფული მღვდლის სასარგებლოდ მიდიოდეს. არა, მღვდელს აქედამ გროში—კაპიკი არ ერგება. იქნება ვისმეს ჭკონია, რომ ამ ფულებით ეკლესია სარგებლობდეს. სრულიად არა. ეს ფულები გროვდება უკვლას ევარქიაში ცალ-ცალკე და წლის დამლევს იზავნება უკლებლად სასულიერო სასწავლებ-

ღების სამმართველოებში ღარიბ მოწათვითა დასახმარებლად. აი დანიშნულება ამ შენდობის ფურცლებისაგან შემოსული ფულებისა. მე არ მჯერა, რომ ვინმე წინააღმდეგი შეიქნეს ამ ორიოდ გრომის გადახდაზე და ისიც მისი ნება-ყოფლობით, თუ იცის, რომ ეს ფულები ამისთანა კეთილ საქმეზე იხარჯება. მაგრამ იქნება კიდევ სთქვას ვინმემ, რომ 25 კ. არა აქვს გარდაცვალებულის ჭირისუფალს და ამიტომ ეს მცირე ფასიც დიდათ ეჩვენება. მაგრამ ეს ფიქრი და აზრი ხომ სრულებით ტყუილია. ჩვენი ხალხი მიკვალეულის გასვენების დღეს ნამდვილ საჭიროებისათვის სრულებით არას ხარჯავს, ხოლო ზოგიერთ საზიზღარ სულისა და ხორცის მავნებელ ჩვეულებათა ასასრულებლად კი ბევრ ფულს ხარჯავს. ქეღელისა, კუბოებისა და სხვა უბრალო ნივთების ასიდან ორას მანეთამდე ხარჯავს და ეკლესიის კრებულს თუ ერთი თუმანი მისცა, ქვეყანას გააურუებს ძანილით: ზღვდებმა შეგვჭამეს... ღიას, ამისთანა ბრუნდი და უკუდმართი შეხედულება აქვს ჩვენს საზოგადოებას საეკლესიო საქმეზე...

ჩვენ კიდევ განვიმეორებთ და ვიტყვით, არ გვჯერა, რომ ისეთი საქციელი ჩაედინოს მღვდელს ინგოროყვას დასათუღავებაზე წესის აგების დროს, რასაც დამსწრე სწერს «კვადში». მაგრამ არც ის შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ უოველგან და ყველგან ერთსა და იმავე ფასს იღებდენ შენდობის ფურცლებისათვის. ვსარგებლობთ ამ შემთხვევით და ვაცხადებთ, რომ შენდობის ფურცლები არც ერთ ადგილას და არავისაგან არ შეიძლება გაიყიდოს მანეთად და ათ შაურად. ყველამ უნდა იცოდეს, რომ რომელი მღვდელსაც დაუმტკიცდება ათი შაურის და მანეთის გარდახდევილება ამ ფურცლებში, იგი მედავითნის თანამდებობაზე ჩამოიყვანება განაზრებით. ყველას, ვინც კი შენიშნავს შენდობის ფურცლების გაყიდვის საქმეში რაიმე უკანონობას, განცხადება უნდა შეიტანოს, სადაც ჯერ არის და ითხოვოს დამნაშავე პირის დასჯა.

დგა. დ. ლაშაშიძე.

ორიოდე სიტყვა გურიის სამღვდლოების საეურზღებოდ.

ჩვენი სამღვდლოებისაგან ხშირად გვესმის სამღურაფი მათ წარმომადგენელ პირებზე: ერთი სასულიერო სასწავლებელი გვაქვს, იმაზე იხარჯება ჩვენი საცხოვრებელი, და ისიც არ არის რაფიანი. ხშირად საზოგადოების სამღურაფი რომელიმე თანამდებობის პირისადმი არ არის სამართლიანი, მაგრამ ამ შემთხვევაში თუ გადახდაფთ პირუთნელად ჩვენი სამღვდლოების მღვომარეობას, დაინახაფთ, რომ მართლაც არ არის მოსაწონი მათ წარმომადგენელთა საქმის მოპყრობა, მსჯელობა და თაფვამოდება სასწავლებლის შესახებ; ნახაფთ რომ ზოგიერთების მოქმედებას არა აქვს მთლად უნაგარო მიზანი. ამას დასამტკიცებლად მოგვყაფს ჩვენ შემდეგი საბუთები: როდესაც ერთ დებუტატთაგანს განუცხადეს ასეთი საყეფლური, მან ასე უპასუხა: განა არ იცოფთ, რომ თქვენი გულისათვის სამმართველოს და მთაფრობას ვერ ვაწყყენინებო».

აბა ჩაუფიქრლით ამ პასუხს; ნუ თუ სამღვდლოების წარმომადგენელს ის უნდა ჰქონდეს ჰაზრში, რომ თუ სამმართველოს რამეში არ დაფეთანხმე, თუ მისი წინადადება უთუოდ არ მიფილე მიუხედაფად იმისა, არის ეს წინადადება არსებითი საჭიროება სასწავლებლისათვის, თუ არა, თუ მისი მორჩილი არ გაფხდი, ამაზელ სამმართველოსაგან წარდგენა დამეკარგებაო! ყოველს წარმომადგენელს კრების დროს, როდესაც უნდა განიხილონ სასწავლებლის ხარჯთა აღრიცხვა, უთუოდ სახეში უნდა ჰქონდეს ჩვენი სამღვდლოების ნიფთიერი მღვომარეობა და შექლება. ამით მე იმას არ ვამბობ, ვითომც რა კი ღარიბია ჩვენი სამღვდლოება, ამიტომ სასწავლებლის მოთხოვნილებას უარი ვსტკიცოფთ-მეფიქი! არა. მაგრამ უნდა დაკმაყოფილდეს ის მოთხოვნილება, რომელიც არსებითად საჭიროა სასწავლებლისათვის. ხოლო ის, რის უარის ყოფა არაფერ დიდ ზარალს არ მისცემს სასწავლებელში სწაფლის წარმატებას, ის რაც ერთ დროით არის საჭირო და შემდეგ მოუხმარებელი, ის, რაც შეადგენს მეტობას, უნდა იქნას უარყოფილი. ჯერ სხვაფური მდილარი უნდა ვიყვე,

რომ შემდეგ კოხტაობას და ეზ-ს ყვეილებით გაშვებენ მისთვის ხელი.

რასაკვირველია ყველა სამღვდლო პირმა, მით უფრო მათმა წარმომადგენელმა, უნდა იცოდეს—და იცის კიდევ—რომ დეპუტატების გადაწყვეტილებას სასწავლებლის შესახებ სრული ძალა აქვს. მაშ არ არის მართალი ის დამუქრება სასწავლებლის სამმართველოისა: ამ ჩემ წინადადებას თუ თქვენ არ მიიღებთ, მე უთქვენოთ მაინც გავიყვან ჩემსასო... რა საჭიროა წევრად სათათრეში მოსამსახურე კაცის ამორჩევა, როდესაც ახლოც არიან ბევრი ღირსნი ამ თანამდებობისა! განა სასწავლებელში ხმონად, სამღვდლოების წარმომადგენელად დანიშნა ინტერესზე უნდა იყოს! ან და რა კი ერთი ვინმე გვეტყვის, ეს ამოირჩიეთ უთუოდ, ეს წყნარი კაცია, შესიტყვება არ იცისო, უთუოდ ის უნდა ამოვირჩიოთ!

როდესაც რაიმე თანამდებობას ანდობენ ვისმეს, აქ არც ნათლი-მამობას, არც მოყვრობა-ნათესაობას და არც სხვა რაიმე ინტერესებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ჩვენში სულ სხვაა. თუ მინდა თანამდებობა ვიშოვო, ვინმე გავლენიან პირს უნდა გავეცნო, დაუხლოვდე, მისი მოწყალეობა დავიმსახურო, და მორჩა! ერთს კი არა ყველა თანამდებობას მე მომცემენ! სხვა ღირსება შენთვის შეინახე! დიდად არაფერი საჭიროა!

უნდა გამოვტყდეთ, რომ არც ერთ კრებაზედ არ აღძრულა ისეთი კითხვები, რომელთა გადაწყვეტა წინდა წინვე არ ჰქონდესთ დეპუტატებს ნაცნობი. ბევრია ისეთი კითხვები, რომლებიც სამღვდლოების კრებათა წესდებულებაში არ არის პირდაპირ ნათქვამი, მაგრამ მისი წინააღმდეგნი მაინც არ არიან. რატომ ასეთ კითხვებზედ არ უნდა ვიქონიოთ ხოლმე მსჯელობა!

ნუ თუ კრება არ უნდა შეეხოს, არ უნდა გაიგოს, თუ რა მდგომარეობაშია სამღვდლოების შეილები სასწავლებელში, როგორ მიდის მათი სწავლა-აღზრდის საქმე? ამ ბოლო დროს ყველანი—შაგირდების მშობლებიც და სხვებაც აზნევენ, რომ ზნეობრივი აღზრდა შეგირდებისა, თუ უკან არ მიდის, წინ მაინც არ იწევა. ბევრი შეგირდთაგანი ირიცხება, უფრო ბევრს ოთხი უზის ყოფა-ქცევაში,

ბევრი რჩება, ბევრი თავნებობს და სხვ. ნუ თუ არ უნდა გაიგონ სამღვდლოების წარმომადგენლებმა, თუ რა არის მიზეზი, რომ ყმაწვილებს საერთოდ სამშობლო ენაზე დალაპარაკება აკრძალული აქვთ სასწავლებელში, და თუ ვინმემ დაილაპარაკა, მორიგე (дежурный) შაგირდი გზავნის მასს უფროსთან, რომელიც ყოფაქცევაში ოთხს უსვამს! ნუ თუ ამით უნდა დაბრკოლდეს შაგირდი? ნუ თუ ეს გარემოება მათთვის არ არის მათი შეილებისათვის? ყველა პედაგოგებისაგან ცნობილია, რომ თუ ყმაწვილს პირველად სამშობლო ენას არ ასწავლიან, არ უმტკიცებენ სისხლსა და ძარღვში, მაშინ ის სხვასაც ვეღარ სწავლობს, სხვაშიაც ჩლოუნდება—კოქლობს.

და ბოლოს ისიც უნდა ვთქვათ, რომ სასურველია სამღვდლოება დეპუტატებად სემინარიაში კურს შესრულებულებს გზავნიდნ. მადლობა დემეტრს ამ ბოლო დროს ჩვენ სოფლებშიაც გამოჩნდნ თითო-ოროლა, მაგრამ მათ ჯერ საქმეში ვერ ვხვდეთ, ყველა ურბის, უცხოობს მათ. ენახოთ ჩვენც ახალი თაობის მოქმედება, ისინიც ჩამოვირჩიონ საქმეში, იქნება დემეტრმა ჰქნას და კეთილ გზას დაადგენ. იქნება იმათაც არ მოინდომონ მართო ჩინისა და წარდგენისათვის სამსახური, სხვა შემდეგისათვის.

მღვ. დ. ჩ.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამა რედაქტორა!

თქვენს პატავტემულ გაზეთ «მწვემსში» ატყდადით ამას წინეთ, რომ თქვენ გამოვიწყრათ იათუფსიანი სატები სალსში გასავრტყლებლად. ამ ამბავს დიდას სახარულით უნდა მეგობრს უაუელი ჭეშმაჩიტი მომდგარა, რომელსაც კი სუწს თაგისა სამტყელას სუელიაჩი წარმატება. მე დიდას ხნადამ მქონდა ფაქტად იათუფსიანი სატების მომტება და გატრტყლება ჩემს სახლადღინისში, მაგრამ, ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამე, ჩემი განზრახვა ვერ ავასრულე. მე სადმითა მოკალეობად დაუდგინე წმუნებულ ჩემდამო სახლადღინისის სამღვდლოებას, რათა მათ გამოკეთნათ და შეტყუათ სამტყელაებაში, თუ წამდენ რჯახში

აჩ იმეჭონება ხატები. ამას წინეთ მე თქვენგან წამო-
ვიღე ასიოდუ ხატი წმ. საქართველოს განმანათლებელის
წინასი. შირველად განუძარტე ხალხს ხატების თაყვანის.
ცემის მნიშვნელობა წარსულ კვირას კულაშის მაცხე-
რის ეკვლევისაში და თანაც ვუნვენე ხატები. მღვდელ-
ლებმა დიდის უწყრადებით ძიისმინეს მოძღვრება და
შემდეგ თითქმის ყველა მათგანმა მოისურვა ამ ხატების
უიფვა. მართლ ამ დღეს სამოცდა თორმეტი ხატი
გასდდა ხელში. მე სინდისი ძაძვილებს, რომ დღემ-
დე გერ დაკავაყოფილუ ხალხის სურვილი ჩვენი წმიდა-
ხების ხატის შექმნას. ჩემს აზრით, შირველ დიდებს
და მშენებლებს ქრისტიანის რჯახისას უხდა შეადგენ-
დეს რომელიმე წმინდანის ხატი, ხალხ მისი უმეჭონ-
ლობა რომელიმე რჯახში უხდა ჩათვალეს დიდ დანა-
შაულობად. სძირად შეხედებით იმისთანა რჯახებს,
სდაც კვდლებზედ დაინახეთ თათრის ფაშების და აკრა-
ბატების სურათებს და ხატს კი თქვენ გერ დაინახეთ.

დღეს, დღის მადლით, ჩვენი გლეხობა ისე
სურთად ცხადებს სახლში, რომ მას მოგებრება ერთ
თახში მოათავსოს ხატი, კვირა-უქმე დღეებში სანთ-
ლი აუნთოს და დეკრთს შეკვდრას.

მამო რედაქტორი! განიხილეს სრული იმედი
მეჭეს, რომ ჩემს სახელმწიფოში ვოკვდეს შეიგებენ
მოძღვრებას ხატის მოხეობაზედ და აღტაცებით მიეგ-
ბების ამ ქრისტიანულ წინადადებას, უმოჩინელებს
კრთით ერთი კვირის განმეობაში დამიმზადეთ და
გამომეზახეთ თასი (1000) ცალი ხატი. სიას, თუ
რომელი ხატი უნდა გამოგზახეთ, სულ ცოტა ხანში
მოგატყვით.

დიდის სიამეჭებით თანამეჭმობი ვარ თქვენა ამ
კეთილ საქმის განხორციელებაში და ამიტომ მადლ-
ბას გეძენით, რომ მოგვეცით საშუალება საქართველო-
ში იაფ თასიანი ხატების გავრცელებისა ხალხში. არ
მეჭება, რომ წრფელის თანამეჭმობით არ მიეგბოს ამ
კეთილ განზრახულებას ყველა ჩვენი მოძმენი და თანა-
გმნობა არ გამოგიცხადოს სვენმა სამწყსობაც.

ბლალჩინი კულაშის საბლალჩინო მარხისა
მღვდელი ერმალოზ კანდელაკი.

მწარე ფიქრები.

ხშირად ჰხედავთ ცხოვრებაში, რომ გამოდის
უსუსური ვინმე და ღაღის ხნის მოღვაწის განკიცხვას
დაიწყებს, მხოლოდ იმ აზრით, რომ საზოგადოებას
ლაუმტიკოს, ვითომდა მე მეტო შევიტყე, მე მეტი
შევიგენი, რაა მამულისა და მოძმეთათვის საჭირო
და უფრო სასარგებლო და ამის შესახებ მეტსაც
ვზრუნავო. ამისთანა უსუსურების რიცხვი არასოდეს
ისე არ ყოფილა გამრავლებული, როგორც ეხლანდელ
დროში. ამისი მიზეზი განხლავთ ეხლანდელ დროის
ზოგიერთი დღიური გაზეთები, რომელნიც საბეჭდავ
მასალის სიმცირისა გამო, მზად არიან ყველაფერი
დაბეჭდონ, ოღონდ ადგილი შევსებულ იქნეს. საზო-
გადოებაში თავის აზრების წარმოთქმა ამ უსუსურებს
სრულებით არ შეუძლიათ, რადგან დაცინვის მეტს
ვერათერს მოიმიკან, მაგრამ რომელიმე გაზეთში გა-
ბეჭდულად გამოდიან, ნილაბ-ჩამოთვარებულნი სხვა-
და სხვა უხიავის «ფსევდონიმიტით». უნდა ვსთქვათ
გამოტეხილად, სწორედ სირცხვილია როგორც ამის-
თანა ნილაბინ მწერალთათვის, ისე თვით რედაქ-
ციებისათვის, რომელნიც მუარველობას უწყვენ ამის-
თანა უსუსურ მადგებლებს, რათა მათ აავდებინონ
საცინად იმისთანა მოღვაწეების მოქმედება, რომელ-
საც ძალიან კარგად იცნობს დაკვირვებული საზო-
გადოება. მაღლობა ღმერთს, რომ საზოგადოება
ბევრს ყურადღებას არ აქცევს ამ უსუსურ მწერალ-
თა ნაწერებს და, ეს საქმითაც მტკიცდება.

გვიკვირს, როგორ ვერ შეიგნეს და ვერ მიხე-
დნენ, რომ საქართველოში მართო ერთად ერთი
მწერალია ცნობილი სახელით და სხვანი კი გვართ
და სახელით იცნობებიან. ვინ არის ეს სახელით
ცნობილი მწერალი? ეს განხლავთ აკაკი. სხვა მწერ-
ლების სახელს, თუ მათი გვარიც არ დაანმარეთ,
ძნელათ თუ ვინმე მიხედება. ეს გარემაება ცხადათ
ამტიკებს, თუ რამდენად გასცნობია ქართველ სა-
ზოგადოებას ეს მწერალი და რამდენად მოუგია მას
მისი გული თავის მოღვაწეობით.

ღიად. სწორედ გვებრალება ყველა ის, ვინაც
ჩამორჩენილა და დღემდე მისი მოღვაწეობა ვერ
შეუგნია, მაგრამ უპეტესად შესაბრალისი იქნება ის,
ვინაც რამდენიმე უსუსურის სტატიით, რომლითაც
ვითომდა კული გამოაბეს ამ უკანასკნელ ხანად სხვა-
ნაირად ჩამორთმეულ მის სიტყვებს, აზრს შეიცვლის
მახედ.

ს. ს.



სიტყვა, წარმოთქმული აკაკის მიერ ქართლის თავად-ახნაურობის წინაშე.

გულში ბნმა ჭავჭავაძემ ბრძანა: «ნათქვამია, ნამეტანი გრძნობისაკან ბაგენი მეტყველებენ და მე კი სულ სხვასა ვგრძნობო... ბაგენი ჩემნი სდუმენ და მადლობის თქმას ვეღარ ვახერხებო!! ვაღლომ იმათ, ვინც მე ამომირჩიეს — განაგრძო ტრიუმფატორმა — ხოლო ვინც არ ამომირჩიეს, იმათთვის კი ვისურვებ, რომ შემდეგისათვის თვალი ახელოდესთ, სიმართლე დაენახოსთ და მითმეც მათი გული მომეგოსთ». სასურველია ეს სიტყვები დრო-შაზედ მოიქარგოს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ქვეშ ჩვენი პატარა — სიტყვებიც მიწერალი იყოს: «ვისურვებთ, რომ არა მხოლოდ ცხრაასსა და სამასს ახელოდეს თვალი სასწორომხედველოდ, არამედ მთელ საქართველოსაც!» მაშინ, მხოლოდ მაშინ, იქნება აღვილი სისწორო-სიძრულის დანახვა და ავ-კარგის გარჩევა... მაშინ ქება-დიდებაც უფრო ღირსეული იქნება და სარწმუნოდ მისაღები!! შეგნებულთაგან პატივისცემა გამამხნეველები მალამოა დაღალულ მოღვაწისათვის და ამიტომაც გულ-წრფელ მოღვაწეს არა მსურს, რომ ბრძებმა, გინდ მათი რიცხვი უთვალავიც იყოს, თაყვანი სცენ მის შეწიერებას და ყრუებმა მკვერ-მეტყველება მოუწონონ!! მე ვხედავ, რომ გულ-მოღვინეთ მიგდებთ ყურს, მაგრამ მაინც კადვე უნდა გთხოვოთ, რომ ეს ჩემი სიტყვები, რასაც დღეს აქ მოგახსენებთ, დაიმახსოვროთ. გთხოვთ ამას მხოლოდ სიმართლის მოყვარეობისა და არა უბრალო კერძო თავმოყვარების გამო: ახირებულ დროში ვცხოვრებთ! დღეს ჩვენში სიმართლემ და ქვემარტებამ წიადაგი დაჰკარგეს და მათ ნაცვლად სიმრუდე და ორპიროპა ფარფაშებს!.. ცილის-წამებას საზღვარი აღარა აქვს: სიტყვა სხვანაირად გადააქვთ... აუკუღმართებენ და იარაღად ხმარობენ. თვით ნაწერებსაც კი სხვანაირად ხსნიან და თავს მითი მართლულობენ, რომ ასე გვესმისო. ამის მაგალითები მე თვითონ ჩემ თავზე გადახდა: შარშან (ბევრს თქვენგანს უთუოდ ახსოვს) როდესაც კრებაზე ჩამოვარდა მსჯელობა სათავად-ახნაურო სკოლის შესახებ, მოზაასენი ორ დასად გაიყვნენ. ერთს უნდოდა სკოლის გადაკეთება მისის წესდების შეცვლით და მეორე კი წინააღმდეგი იყო. მეც რასაკვირველია,

გულმა აღარ მომითმინა და ჩვენივე შემდეგი წინადადებით: ეს წესდება ბედნიერ დროსა გვაქვს მიღებული... დღეს წუნს ნუ დაედებთ ჩვენს ერთად ერთს სკოლას, თორემ სამაგიეროს მაგისტანას ვეღარ მივიღებთ და შეწინებულნი დავრჩებით... ჯობრზე ნუ შევაგდებთ! საჯობროდ ნუ გახდით ამ წმინდა საგანს!.. მთელი ჩვენი ისტორია ცოტა მაგალითს წარმოგვიდგენს, რომ ჯობრს დაველუპოთ? ჩვენი ერისთავები, დიდებულები, თავადები ძველათ ყველანი თავ-დადებული იყვნენ მამულის გულისთვის, თითოეული მათგანი სამსხვერპლოთ იყვენ გაწირული. მაგრამ ერთმანეთში რომ ვერ მორიგდებოდნენ ხოლმე, მტრებს მოიხზობდნენ, შახ-აბაზებს, ხოჯახანებსა და მძინვარე ფაშებს ჩვენი ქვეყნისკენ გზებს უკვალავდნენ-მეთქი. ერთმა იქ მყოფთაგანმა, ცბიერად მკითხა: ვინ არიან მტრები? პირდაპირ დაასახელე დავის იგულისხმებ შახ აბაზებათ, ხოჯახანებათა? — მე წარმოგიდგინე სარკე ჩვენი წარსულისა-მეთქი, ვუპასუხე და გავჩუმდი. მაშინ მიუბრუნდა ისევე კრებას ცხარე სიტყვებით: ბატონებო! თქვენ გეძახისთ მოლაღატეებს, მტრებს, შახ-აბაზებსო და სხვანი და სიტყვების გადასხვაფერებით იმდენათ აღვლევა ზოგიერთები, რომ სცენაზედ შემოცივიდნენ და ერთმა ლეფორველიც ამოიღო!.. მაგრამ მე, როგორც ქართველს, არ შემწინებია!.. მართალია, ფარხმალს ჩემ მამა-პაპასავით ვერ ვატრიალებ, მაგრამ გულს კი ისევე ქართულად ვხმარობ და სიმართლისათვის რომ კიდევ ამკუწონ, არ ვავიქცევი; მართალია შიშმა ამიტანა მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს შიში კი სულ სხვა გვარი იყო: «ნუ თუ — ვფიქრობდი ჩემს გუნებაში — ის რწმუნება, რომელიც ამდენი ხანია გულით მიტარებია, რომლისათვისაც შემწიწირავს ჩემი პირადი არსებობა, რომლის გამოც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთი დღე ბედნიერი არა მქონია, ნუ თუ მართლა ის რჯულად გადაქცეული საგანი შეცდომა იყო? ნუ თუ ის გზა, რომლისკენაც დღეს ზოგიერთები გვითითებენ, უფრო სწორი და სასარგებლოა ქვეყნისათვის? მაშ, ვი დატანჯულსო სიცოცხლევ და გასუდებულსო იმელო!!. აი, რა მაწინებდა წლის განმავლობაში და რა მიფხობდა ჩემს!.. მაგრამ წრეწანდელმა კრებამ გამკურნა მე: როდესაც ერთ უბრალო წესდების მუხლის შეცვლაზე ჩამოვარდა ბასი, ზოგიერთებმა ის შარშანდელი ჩემი სიტყვები გაიმეორეს

და ქების ტაშიც გამოიწვიეს!.. აღარაღის მათთვის აღარ უთქვამს: ვინ არის და სად არის მტერიო? მაშინ... მაშინ კი მეც მივხდი, რომ მე კი აღარ ვყოფილვარ შემცდარი, მხოლოდ ისინი, ვინც ხან მარჯვნივ აფრიალებენ დროშას და ხან მარცხნივ. ზედაც ასე უწერათ: «ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო»... და ის გაზეთებიც, რომელნიც იმათ ბანს აძლევენ, სამანასეო ყოფილან!.. მეორე მაგალითი: წელს კრების წინეთ მე გირჩევდით თქვენ, რომ საოფლებიდან ჩამოსულიყავით აქ, ქალაქში, თქვენი ყურით მოგვემინათ ყოველიფერი, თქვენი თვალით დაგენახათ, თქვენი ჭკუით აგეწონათ და ისე დაგედეთ მსჯავრი, რომ სხვების რჩევასა და ჭკუას არ აჰყოლოდით. თუ სიღარიბე ხელს შეგიშლიდათ, გირჩევდით, რომ ვალი აგედოთ, მიგემართათ მეზობლებისათვის, მათგან ხელი გაგემართათ და უთუოდ დასწრებოდით საზოგადო საქმეს. ეს ზოგიერთებმა გადაასხვეფრეს და გაზეთებში ამტკიცებდნენ ჩემზე: ვითომც მე თქვენთვის მოქრთამობა და სინიღისის გაყიდვა მერჩიოს. განა ამიტანა რასმეს მე ან ჩემ თავსა და ან თქვენ შეგკადრებდით? ეს გაუგებრობა ჯერ მე იმათ უყურადღებობას მივაწერე ჩემი ნაწერასადმი და ხელმეორეთ ისე გარკვევით აუფხსენი მათ იგივე აზრი, როგორც პატარა ბავშვებს, მაგრამ მაინც რომ აღარ გადათქვეს, მაშინ კი მივხდი, რაც ალაპარაკებდათ!.. თურმე საარჩევანო ხრიკები იყო მათი ჯიუტობა და გაფრთხილი. ორი კვირის განმავლობაში გაზეთები ჩემზე ცილისწამებით მოლაშკრობდნენ, კრებებზე ურიგოთ მხსენიებდნენ და ზოგიერთები მედიდურობით დედა-მიწასთან გასწორებას შემოქრებოდნენ, მაგრამ თქვენც მოწამე ხაოთ, რომ მე მხოლოდ ვიცინოდდი—რადკანაც დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ იმ ჩემ სიტყვებს, ჩეულებიანამებო შემდეგში ისინივე განიჟივრებენ.—ზოგიერთები იმასაც კი გეუბნებოდნენ თქვენ ჩემზე, რომ იმერელია და რჩევას ნუ დაუჯერებთო, მაგრამ თქვენი პასუხი საიამოვნოთ არ დაურჩათ და მე ჩემის მხრით ამას ვიტყვი: საქართველო ერთია ყველასათვის, როგორც ერთი დედა და ამერეთ-იმერეთი ზედ ორი ძუძუ!.. უსუსური ბავში რომ ცალ ძუძუსა წოვს, იმავე დროს მეორესაც ხელს უჭერს, არაღის დევანებო!.. ისე თანასწორად უყვარს ორივე და ვინ იქნება მისთანა ჭკუათა მყოფი ქართველი, რომ ორივე მხარე ამერიცა და იმერიც თანასწორად არ მიაჩნდეს!

სწორედ არ უყვარდეს?!.. დიად, ბატონებო, მე ვერაფერს შემიწამება, რომ თქვენ იმერლებზე ნაკლებ მიყვარდეთ და რჩევას უგულოდ გაძლევდეთ!.. დღეს, როდესაც კრება გათავდა, დაიშალა და თქვენ სახლისკენ ბრუნდებით, მე კიდევ იმავე რჩევით მოგმართავთ, რომლითაც მოგმართეთ კრების წინეთ: «როდესაც საზოგადო საქმე მოგიწოდოთ, ნუ დაიზარებთ ხოლმე ჩამოსვლას!.. ვალი აიღეთ!.. არა თუ ქალაქში, ფეხ-შიშველა რომ ჩამოხვიდეთ, დასაძრახისი არ იქნება!.. არა თუ სასტუმროებში და ბაღებში, ქუჩებშიც რომ მოგიხდეთ ღამის გათევა, ნუ გერცხვინებათ!.. შესარცხენი ის არის, ვინც გრძნობითა და გონებით არის ღარიბი და არა ის, ვისაც სიმაართლე და ჭეშმარიტება უნდომილვანელებს. ეგება თქვენგანმა ვინმე იფაროს: რა გამოვა, რომ ჩამოვიდეთ ხოლმეო, თუ კი ყოველთვის დემარცხდებითო? და ეს შემცდარი აზრია!.. — დამარცხებული მხოლოდ მაშინ არის კაცი, როდესაც სასოებას დაჰყარავს, გულიდან სიმაართლესა და ჭეშმარიტებას გადაიკიდებს და ძალ-მომრეობას შიშით დემარჩილებს!.. თორემ ვისაც სიმაართლე და ჭეშმარიტება იმედით შეეკავშირებული გულში უღვივა, ის ყველგან და ყოველთვის გმირია. თქვენ წელს ბევრი რამ მოისმინეთ.— ბევრი ჭეშმარიტება წარმოითქვა თქვენ წინაშე, ის დაიპარხეთ გულში და შეუდევით მომავალს — ზოგიერთებმა იციან: «რა გამოვა ცარიელი სიტყვითაო? ერთ ყურში შევა სიტყვა და მეორედამ გამოვაო!» ტყუელია!.. სიტყვა თესლია კეთილი და საქმე მისი ნაყოფი. როდესაც მთესველა ფანტავს თესლს ხნულში, მაშინ უგნურს უკვირს: რას შერება? რათ აზნეეს ამ ხორბალსო? დაფარცხვას შემდეგ, როდესაც მიწაში მიიფარება მარცვალი, იმას ველარავინ ხედავს რამოდენიმე თვის განმავლობაში და მყარალ ბალახ-ბულახის აყვავებასა და ბიბინს შეჩერებია!.. მაგრამ მოვა გაზაფხული, მიწაში მიმალოელი მარცვლები თავს იჩენენ... აბიბინდება ჯეჯილი და მაშინ კი ყველა კურთხევით იხსენიებს მუშაკსა და მთესველს. სიტყვა თესლია! ხნულა კი კაცის გული; აქ ჩავარდნილი სიტყვა არა ჰქრება, მხოლოდ დრომდე მიმალოულია და ნელ ნელა ღვივის, რომ შემდეგ თავი იჩინოს. თქვენ, ბატონებო, რაც წელს საკეთილო რამ გაიგონეთ, დაიპარხეთ გულში; წაუღეთ თქვენ ცოლ-შვილს, თქვენ კეთილ-მეზობლებს, გადაეცით მათაც და მოელოდეთ გაზაფხულს!.. შრომის და სიმაართლის მოყვარეობა წინამორბედობაა იმ სანეტარო გაზაფხულისა!.. ვისურვებ თქვენთვის ამ დიდებულ მოგალოებას და გულისთა ესვამ თქვენ სადღეგრძელოს.

„გბალი“

აკაკის სიტყვა.

პარასკევს, მ ს იენის ბაღში სადილი გაუმართეს გორის მარშალს, ბ-ნ სულხანიშვილს. სადილზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და მათ რიცხვში ბევრი გარეშეც.— ჩვეულებისა მებრ ბევრი სიტყვა წარმოიტქვა.— ბ-ნ ნიკოლოზ თადეოზის ძე ჩოლოყაშვილი იყო არჩეული ტოლუმბაშათ, — რომელმანც რამოდენსამე სადღეგრძელოს შემდეგ ტოლუმბაშობა გარდაულოცა ნიკო ვახტანგის ძეს ორბელიანს. ორბელიანის მოსწრებულმა და მკვერ-მეტყველურმა სიტყვებმა საზოგადოება გაამხარულა!.. ცოტა ნაკლები ის იყო მხოლოდ, რომ დედა-ენაზე სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა! როცა აკაკის სადღეგრძელო დადიეს, ერთხმად სიტყვა მოსთხოვეს და პოეტმაც, თითქოს ბოდვის მოსახდელად, რომ ძველებურად აღარ შემძლია სიტყვის მოხერხებო, ლექსი წაიკითხა «ქალარა» და უკანასკნელი მუხლიც რომ სიტყვა:

«არა!.. აჰყავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტყნს ქალარა!..
გმირებს დაეძებს.. უყივის
ჩემი დაფი და ნალარა!»-ო

ატყდა ერთი დაუბოლოვებელი ტაშის-კერა და «ვაშას» ძახილი. პოეტმა მადლი გადაუხადა საზოგადოებას და ლექსაც ზედ მოაბა შემდეგი სიტყვა: «ბატონებო! ეს ლექსი შევთხზე ამ ათის წლის წინეთ და ზოგიერთებმა, ჩვეულებისა მებრ კიჟინა დამცეს: «აი უმეცარი პოეტის ოცნება, თუ გნებავთ, ეს არისო: რისი გმირი? რა გმირი? სად არის? და საიდან უნდა მოვიდესო?» მეც, რასაკვირველია, ჩვეულებრივად გაეჩუმდი და ყურადღება არ მიმიქცევია მათი განჩინებისათვის.— გაიარა ათმა წელიწადმა და დღეს სულ სხვას გაიძახიან ისინივე: «ის გმირები — პოეტი ვერ ხედავს, თორემ — დიდა ხანია, ავერ ოცდაათი წელიწადია, კიდევ მოვიდნენ და მორჩა, გათავდა, აწ სხვებს ნულარ მოვლით!.. «იწამეთ მხოლოდ ისინი და თავყანი ეციოთ!» საკვირველია, რომ ამას ისინი გაიძახიან, ვინც აღრე სულ სხვას ლაღადებდნენ! და ვისაც დღეს მათი არა სჯერა, იმას, გასრესას, დედამიწასთან გასწორებას და დაღუპვას ემუქრებიან!.. რალა გვეთქმისჭ.. პასუხი მათდამი მხო-

ლოდ ღიმილია!.. ცრუ-წინასწარმეტყველები ყოველთვის ბევრი ყოფილან, მაგრამ სარწმუნო კი მათგანი ცოტა გამომდგარა!.. მაშინ როდესაც ცრუ წინასწარმეტყველნი, ფარსევლებისაგან ზურგ-გამაგრებულნი, განცხრებოდენ, ფუფუნებდენ და თამამად გაიძახოდნენ; «ჩვენა ვართ და ჩვენ შემდეგ ნულარავის მოვლითო!» ნამდვილი წინასწარმეტყველი და წინამორბედი, «აქლემის ტყავში გამოხვეული, ფენ-შიშველა და მშიერ-მწყურვალი, უდაბნოში ლაღადებდა და იორდანის პირად ამას ჰქადაგებდა: — «მე არა ვარ, რომელსაც თქვენ მოვლითო!» მე თქვენ ნათელსა გცემთ მხოლოდ წყლითა და ის ნათელს გცემთ თქვენ სულითა წმიდითაო!» ამ სიტყვებმა ზარი დასცეს მეზვერეთა და ფარსეველთა და აშფოთებით ეკითხებოდნენ ნათლისმცემელს: «სად არის ის შენგან დასახელებულიო! მან გაიშვირა თითი, დაანახვა ერს მთის წვერზე შორით მომავალი ნამდვილი მოძღვარი და მხსნელი.

დიად!.. მხოლოდ ნაცარ-ქექია იტყვის: «ჩემით თავდება გმირობაო» და არა ნამდვილი გმირი, რომელიც მომავლისაგან თავის თავზე უკეთესებს მოვლის და ნატრობს!.. ვაი, იმ ერს, რომელსაც ჰჯერა, რომ დღევანდელი ჩემი მოძღვრები და გმირები უკანასკნელები არიანო! მისი წარმატება შეფერხებულია.— როგორც ყვეელი ერი, რასაკვირველია, ჩვენც უნდა მოველოდეთ ჩვენი მომავლისაგან უკეთესს მოძღვრებსა და გმირებს!..

საიდან უნდა გამოვიდეს ეს გმირები? იმ ბუდიდან, რომელსაც ხალხის გული ჰქვია!.. ის უნდა იყოს კეთილი ნაყოფი იმ ხისა, რომელსაც «ხე ცნობადისა» ეწოდება!.. აქ, ეგება, ზოგიერთებმა გაიკვირონ და გუნებაში თქვან: სად მთელი ერი და სად ხეო? მათში საერთო მგზავსება განა არისო? მაგრამ ეს შეცდომაა: «თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ქვეყანაზე საკვირველი თანასწორობაა!.. შემოქმედებითი ძალა ისეთი მიუდგომელი და სამართლიანია, რომ ყველასათვის, ხილულისა, თუ უხილავისა, სულიერასა, თუ უსულოსათვის ერთი და იგივე საარსებო ძალა მიუნიჭებია, თუცა სხვა-დასხვა ფეროვნებით კი... აი, ბატონებო, შევხედოთ ამ ხეს! სხვა-დასხვა ნაწილებისაგან არის შემდგარი... აქვს ფესვები, შუატანი, ანუ ღერი და მალლა შტოები, სადაც ფოთლები, ყვავილები და ნაყოფი ებმის. ფესვები ღრმად არიან მიწაში ჩამჯღარი... არ ჩანან...

მაგრამ თავი და თავი ძალა მთელი ხის კი ისინი არიან: მათი სიმაგრით დგას ხე ფეხზე და მათგან ეძლევა საზრდო.—ღერი კავშირია იმ ფესვებისა და შტოების: შტოები კი იმ ღერის ამონაყარი ფესვებისვე შემწეობით. ზოგჯერ მოხდება ხალმე, რომ ხეს ეღვა დაჭრავს, დაჭრაქავს და დაასწეულებს... მაშინ პირველად შტოებს ეპარება სიყვირთღე და თუ არ მიეშველეთ, არ გადასხვებით, მთელ ხესაც გაახშობს; მაგრამ რომ გადასხვებ, მას შემდეგ ისევ ის ხე ამოიყრის ხალმე მრავალ-გვარ შტოებს, რომელთაც საუკეთესო ნაყოფი მოაქვთ.—აგრეთვე შეიძლება შუა ტანზე, ღერზე დარგოს კაცმა მისი, გვარის ნერგი და გააუმჯობესოს ხე, ერთმანეთთან შეხორცებით, მაგრამ ძირს, ე. ი. ფესვს კი არა მოუხერხდება რა!.. იმას დაჭრა და ხის სიკვდილი ერთი და იგივეა... მაშ თავი და თავი ძალა მთელი ხისა ის ფესვები ყოფილან?!.—დიად, მაგრამ ჩვენ იმას ვერ ვხედავთ და მიგჩერებივართ მხოლოდ იმ შტოებს, რომლებზედაც ფოთლები სამუდამოდ შრიალებენ, ყვავილები თვალ-მისატანებლად იშლებიან და ნაყოფი მწიფდება.—ეს არის ყოველი ხის არსებითი კანონი, რომელიც ყოველმა მებაღემ იცის და უფრო თხილდება ფესვებს.—ამ გვარავეა ხალხის საარსებო კანონიც. ყოველი ერი სხვა-და-სხვა წოდებად იყოფა: იმას აქვს თვისი დაბალი, შუათანა და მაღალი ტანი (მე აქ შთამომავლობით წრე არა მაქვს მხედველობაში). ჩვენ ყოველთვის უფრო შეეჩერებივართ ზედა ტანს და იმ ფესვს კი, რომელსაც მიწის მუშა ეწოდება, ხშირად ვერც კი ვხედავთ.

აი, თუ გინდა დღესაც, აქ ჩვენთან ერთი მათგანიც არ არის, მაგრამ მათი ნაკურთხი მარჯვენა კი აქ ჩვენ წინ, ჩვენ სუფრაზე ძევს; «პური და ღვინო ახარებს გულსა კაც-სასაო». ჩვენც დღეს ვმხიარულობთ ამ პურ-ღვინო და ეს სიხარულის მიზეზი, იმ მუშების, იმ დაბალ წოდების მეოხებაა, რომელიც ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და ისე ვუვლიდეთ, როგორც კეთილი მებაღე უელის ხე-ხილს.—მაშ, გაუმარჯოს იმ ჩვენ ღარიბ და ქვედა საფეხურზე მდგომარე მოძმეებს და მათთან ერთად იმათაც, ვინც იმათ არ ივიწყებს!—ეს სადღევრძელო ღირსეულად ერგება დღეს არჩეულ ბ-ნ სულხანიშვილსაც. ჩვენში ხშირად არჩეულ წინამძღოლს, წინამძღოლს ეძახიან... ეს შეცდომა თვით განხორციელებული სიმართლეა: წინამძღოლელი ნიშნავს იმას, ვინც

ხალხს წინ უძღვის და წინამძღოლელი კი ის, ვინც იმათ წინდაწინ გააძღვებს ხალმე:—ამომარჩიეთო!.. ჩვენ ყოველთვის წინამძღოლები გვეულის!.. იმათ ყოველთვის მაღლა ეჭირათ თავი და დაბალ წოდებასთან საერთო არა ჰქონიათ რა!.. უცხო კაცს დღის სავალზე მიეგებებოდნენ და წვრილ-ფეხობას თავსაც არ უკრავდნენ! ვერ იცნობდნენ და მაშ როგორღა გაავებდნენ მათ ჭირსა და ლხინს, რომ დახმარებოდნენ!—ბ-ნ სულხანიშვილს კი გულმა უჩია, რომ სწორ გზას დადგამოდა და თავისი ყურადღება უფრო მდაბლისა და წვრილ ფეხობისათვის მიექცია. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ უმეტესობა გარის მაზრისა კმაყოფილი და მხიარულია მაგისი არჩევით. ამ მხრით, ე. ი. მით, რომ ბ-ნი სულხანიშვილი ზრუნავს და ემსახურება, არა, მარტო ბატონობა დაჩვეულ გვარის შვილებს, არამედ უფრო ღარიბს და წვრილ-ფეხს, აზნაურობას, ის ღირსია პატივისცემისა... და ამიტომაც გულისთა ვსვამ, როგორც საკუთრად მისას, ისე იმის ამრჩევლების სადღევრძელოს!..

«გაბლი».

წერილი რედაქციისადმი. *)

ბატონო რედაქტორო! ნება მებაძკეთ თქვენს გაზეთში დიდი ბოდიში მოკითხოგო «სოფლის სუცესის» წინაშე, რომელიც მეტად დაუღალნებია ჩვენს

*) ვბეჭდავთ ამ წერილს «სოფლის სუცესის» შენიშვნებით არა მისთვის, რომ მართლა ჩვენი «სოფლის სუცის» მწარე ფიქრებს აცკობდეს, არამედ მისთვის, რომ უფრო მეტად დარწმუნდეს მკითხველი «სოფლის სუცის» მწარე ფიქრებში და თვითონ წერილის ავტორი თავის პასუხის უსაფუძვლობაში.

რედაქტორი.

კორესპონდენტის, დაბეჭდილს ამას წინედ გაზეთს «ივერიში». როგორც მისი «მწარე ფიქრები» გახეყნებენ, ხვენი „ხუტესა“ შეტად გაუმწარება ჯერ ხვენი სტატიის ენას და მეტე თვით ხვენი აზრს, რომელიც გატარებული იყო ხვენი წიკილში. რაც შეეხება ხვენი სტატიის ენას, დაწმუნებული ბრძანდებოდეს «სოფლიც ხუტესა» იმაში, რომ ის ენა, რომელიც დაბეჭდილს ხვენი სტატიაში (და არა დედანში, ხელთნაწიქში) იყო, არც ხვენი მოგვეწონს და დიდათაც დაგვადონს, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც გაზეთს „ივერიას“ სენად აქვს გადაჭრული ასეთი ხვეულება?

ენის შესახებ ერთი სიტუაცია არ წამოგვცდენია და რისთვის იხდის ბოდიშს წერილის ავტორი, ვერ გავვიგია?!

სოფლის ხუტესი.

«სოფლის ხუტესმა» ნუ თუ არ იცის, რომ «ივერიას» რედაქტორი გაქტა, დიდი ხანია, და მისი ადგილი ხარაზებმა და აფიშორებმა დაიჭირეს, აი ამ ხარაზებმა მიგლიჯ-მოგლიჯეს ხეში სტატია და მეტე მიუგდეს აფიშორს, რომელმაც შვეშით ზოგან ზღაპარი ჩააწეა შიგ, ზოგან ანეკდოტა, ზოგან ანდაზა, აქ წინდადება ამოგლიჯა, აქ სიტუაცია, ერთს ადგილს შესემნილი, მეორე ადგილზე ქვედებარე, ხეში სიტუაცია ვიღაც მესამე შიკს მიაწერა, მისი მე მათქმევინა, აუჩია, დაუჩია თავისებურად და გამაჟვეუნა ის უმზგავსო სტატია, რომელიც მე სწულიად ვეღარ ვიტანა! თუშემე ასე სტოდნათ ახლა, ახალი მოდა შემოხუდათ და ესეც ხვენი ბრალა, მამა «ხუტესმა»?

ჭემმარიტად მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა თქვენი წერილის დამახინჯების შესახებ, მაგრამ რა ვქნათ! უნდა დავემორჩილოთ ხვენი ბედს. გულისთ და სულით ვისურვებ, რომ ეს მარცხი «დაგაჯეროს» ას წელიწადს და მეორედ აღარ შევამთხვიოს!..

სოფლის ხუტესი.

რაც შეეხება თვით ხვენი აზრს, რომელიც თქვენ არ მოგწონებიათ, თუ გნებავს, ამასედაც ბოდიშს მოკიხდი თქვენს წინაშე, რადგან შევედით და წინდაწინ ვერ დატკიოთხეთ, თუ რა გამებათ სოფლე თქვენ და რა არა. თუმც ამ ბოდიშსაც არ მოაწონებთ, მაშ იმაში მაინც ბრძანდებოდეთ დაწმუნებული, რომ ხვენი როდესაც ესწერთ, ან ვლამარაგობთ, იმას ვამბობთ, რასაც თვითონ ვფიქრობთ და ვგრძნობთ და არა იმას, რასაც ჩაკვამხებენ, ან მოაწონებენ, და იხებებენ სხვები, თუმც ხვენი აზრები თქვენ არ მოგვეწონათ, ერთი ის, რომ მაგას თქვენ არ დასდევთ, მეორე ის, რომ კბ აზრი არც ხვენი გამთქმული იყო შიკველად და თქვენც რამე ფაქტები, ან ლოდია და ან სხვა რომელიმე მოსაზრება უნდა წამოგვეყენებიათ იმის უვარგისობის დასამტვიცებლად, თორემ მარტო წერტილებით, კითხვითა და გაკვირებითა ნიშნების წერით სხვას ვის გადაუტრიალდა გული, რომ ხვენი დაგვემართოს ეს საქმე? თქვენს კრიტიკაში კი არც ფაქტია და არც რამე სხვა საწინააღმდეგო მოსაზრება, ამათ მაგიერ მსოფლიად გაკვირებითა ნიშნები!

დიახ, ხვენიც იმას მოგახსენებდით, რომ, როცა თქვენს წერილს წაიკითხავს კაცი, ეგონება, სწორეთ ეს კაცი ენლა გამოსულა კივიის გვირაბიდან და ამ ქვეყნის არა გაეგება რაო. თქვენ ნამეტნავად დანდობინართ თქვენს «ფიქრს და გრძნობას», და ამიტომაც ნამეტნავად მემცდარხართ. ნუ თუ არ გინახავსთ პატარა ბავშვები, რომელნიც მთვარისაკენ ხელს იშვერენ მის დასაჭერად?! ასეა გამოუცდელი კაცის «გრძნობა და ფიქრიც», თუ ეს ფიქრი და გრძნობა შეუმუმავებელია გონივრულიად. რას ფიქრობს და რას გრძნობს უჩინდი, როცა კაცს ძარცვავს? რას ფიქრობს და რას გრძნობს ვეილი, როდესაც კაცის მკვლეს იცავს და უაჯაო ფულებს ახდევინებს? ძნელია, თუ კაცი გაურჩევლად თავის ფიქრს და გრძნობას დაემორჩილა და ეს თვისი ფიქრი და გრძნობა ლოდის საწურავში არ გაატარა.

დმერთმა ჩემს მტერსაც ამოროს აგრეთვალები დახუჭვა და საქმის გაუგებლობა! თქვე დალოცვილო, საყვედურს გვიცხადებთ, რომ იერუსალიმის ჩვენს ძველ მონასტრებს არ ვიბრუნებთ და ამ საქმეზე საჩივარს არ ვიწყებთო. ჩვენ ვითნართ: რა დროს იერუსალიმის ძველი მონასტრის ამოგებაა, როდესაც აგერ უხვირის წინ მონასტრები ხელიდამ გაგვეცლება, და ჩვენიდან დაცარიელებულ მონასტრებს სხვები ეპატრონებიან-მეთქი. ბ. კიეველი კორნესპონდენტი გამომდგარა და გვეკითხება: დავამტკიცეთ თქვენი ნათქვამიო! რადა დამტკიცება უნდა იმას, რომ რიონი შავს ზღვაში ჩადის?!

სოფლის ხუცესი.

რა თავსაცემია ის აზრი, რომ ჩვენ მამა-მამუჩის აჯლადიდას უნდა სკლი არ შეკუშვით და სხვებს არ უნდა ჩაუგდოთ სკლში?

შენ პირს შექარი. ნუ შეუშვებთ ხელს იერუსალიმის მონასტრებს. იერუსალიმში დავიდავთ წიფი და ჩვენი საქართველოს მონასტრები ვისაც უნდა, იმათ წაიდონ!..

სოფლის ხუცესი.

საქმეს რიგინი დაკვირება უნდა, სიმატლის თქმა, ჭკმინატიკების აღდგენა, ნამდვილი წრფელი და კეთილშობილური განზრახვა—სურვილი, თორემ ჩხიკვაქვალაობისათვის ვიდის ცალია და ან რას გაგვკეთებთ ამ მხინკვალაობით და «მასლას» ძახილით?

კიეველი კორნესპონდენტი.


სწორეთ მაგას მოვასხენებდით ჩვენც. მაღლობა დმერთს, რომ თქვენც ჩვენი თანანბანართ.

სოფლის ხუცესი.

ქუჩნალ-გაზეთებიდამ.

ამას წინეთ რუსეთის გაზეთებმა გაცნობეს, რომ სმოლენსკის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა უწესოება მოახდინეს პირველს აპრილს ლამითო. აი რას ვკითხულობთ ამ უწესოების შესახებ გაზეთ «Русскія Вѣдомости»-ში:

„სანამ ამ სემინარიის მოწაფეებს საალღომოთ დაითხოვდნენ, სემინარიაში მობრძანდა სმოლენსკის და ღოროგობუჟსკის ეპისკოპოსი გური. ყოელად სამღვდელომ, სხვათა შორის, გამოსთქვა თავისი მწუხარება პირველ აპრილს მომხდარ უწესოების გამო. ამავე დღეს გათავდა გამოძიება, რომელიც სწარმოებდა ხუთი დღის განმავლობაში. გამომეძიებლად იყო დანიშნული უწმიდესი სინოდის სამოსწავლო კამიტეტის წევრი დეისუ. სტ. სოვეტ. პ. ი. ნეჩაევი. ბ-ნი ნეჩაევი მოვიდა ქ. სმოლენსკში უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის მინდობილობით. ბ. ნეჩაევის მიერ მომხდარ გამოძიების შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი გარდაწვევტილი სიტყვის თქმა არ შეიძლება; მაგრამ ხმები ისმის, რომ სემინარიის ზოგიერთი მოწაფეები გამოირიცხებიანო და სემინარიის გამგეობის პირთა შორისაც ცელილება მოხდებაო: სემინარიის ინსპექტორმა პ. ვ. ლიუბოსლავსკიმ და მისმა თანაშემწემ პ. პ. კარილოვიჩმა უკვე შეიტანეს ღათოენის ქალაქი (ინსპექტორის თანამდებობას დღეს ასრულებს ისტორიის მასწავლებელი ვ. ნ. როდიონოვი). ამბობენ, რომ სემინარიის მოწაფეებს მისცეს შემდეგი ოთხი კითხვა, რომელზედაც მათ წერილობით უნდა მიეცათ პასუხი: 1) რამ გამოიწვია უწესოება პირველ აპრილს ლამით? 2) იციან თუ არა მათ, რა შედეგი მოჰყვება ხოლმე ამისთანა უწესობას? 3) რა სურდათ მოეხდინათ მათ ამ უწესობით? და 4) თითოეული მათგანი რას ჩადიოდა ამ უწესობის დროს? ყველა ამ კითხვებზე მოწაფეებმა მიუგეს შემდეგი პასუხი: პირველზე მიუგეს, რომ უწესოება გამოიწვია სემინარიის ინსპექციის მოქმედებამო მეორე კითხვაზე უპასუხეს, რომ უწესობის შედეგი მთლად არ ჰქონდათ მათ შეგნებული; მესამეზე, რომ ამ უწესობით გესურდა უმაღლეს სასულიერო მთავრობას ყურადღება მოექცია ჩვენთვის, და შეეტყო, თუ რა



შევიწროებულ მდგომარეობაში ვიყავით სემინარიის ინსპექციისაგანო, ხოლო მეოთხე კათხვაზე კი სხვა და სხვა პასუხი მისცეს: ზოგი ამბობდა, რომ უწესობის დროს დასაძინებელ ოთახში ვიყავით, ზოგმა სთქვ, არ მახსოვსო, თუ რას ჩავდიოდით იმ დროსო. ამბობენ, რომ სახელმწიფო ხარჯზე მცხოვრებ მოწაფეებს მეცადინეობის თავისუფალ დროს დაშლილი ჰქონდათ ინსპექციისაგან სადმე წასვლა სემინარიიდან; მხოლოდ ოთხშაბათობით და კვირაობით შეეძლოთ მოწაფეებს სემინარიიდან წასვლა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ნება-რთვას მიიღებდნენ ინსპექციისაგან; სხვა დღეებში მოწაფეების პალატოები ინსპექტორის განკარგულებით დაკეტილი იყო ხოლმე ყუთებში: იმ მოწაფეებს, რომელნიც დაარღვევდნენ ინსპექციისაგან დადგენილ წესებს, სასტიკად სჯიდნენ: სტოვებდნენ კარცერში და რამდენიმე დღე უსადილოთ არჩენდნენ თურმე და სხვა. რაც შეეხება მეორე კლასის მოწაფეს კულიუკინს, რომელმაც 30 მარტს განიზრახა თავის მოკვლა, ამის შესახებ სულ სხვა ამბები ისმის: სამი დღის წინათ, სანამ ეს 17 წლის ყმაწვილი თავის მოკვლას განიზრახავდა, მას რაღაცა დამნაშაობისათვის ინსპექტორის თანაშემწემ კირილოვიჩმა მისცა სასტიკი შენიშვნა მისი ამხანაგების თვალწინ, ასე რომ ამ მოწაფეს იქვე გული წაუვიდა. რამოდენიმე დღის შემდეგ ამავე მოწაფეს შეხვდა ქუჩაში ინსპექტორი და შენიშვნა მისცა მას, რომ იგი მუდამ დასეირნობს და ამ დღიდგან განკარგულება მოახდინა ინსპექტორმა, რომ კულიუკინი სემინარიიდან აღარ გაეშვათ სადმე, მის მამასთანაც კი, რომელიც იქვე სემინარიის მახლობლად სცხოვრებდა; ამბობენ კიდევ, რომ ამ მოწაფეს უპოვნეს რაღაცა წერილი, რომლის გულისათვის ის შეიძინა დღით ჩასვეს კარცერშიო; ალბათ ყოველივე ამებმა აძულეს კულიუკინი, რომ თავი მოეკლა. იმედი არ არის, რომ ეს მოწაფე მორჩეს. ტყვიას გაუვლია ფილტვების გარსი და გაუქრია მარცხენა ფილტვი.

დრო თამარ მეფისა.

(გუბ. კნიაჟ. ნ. ო—ქეს)

შვიდას წლის წინედ ეს საქართველო იყო კეკელუცად აღყვავებული, აქ ქართველთ საფეე სიცოცხლე სდულდა ციურის მადლით ნათელ-ცხებული.

საქართველოის დედა, შეენება მეფე თამარი კეთილ, სულ-მნათი, ვისითა მოსწონს დღეს ქართველს თავი, გულს უსვენია ვისი სურათი.

ვინც იყო ბრძენი, მშვიდი და წყნარი, ერთ-არსებისა მადიდებელი, თვისის საყვარლის ქართველი: ერის და სამშობლოის განმდიდებელი.

მაშინ სცხოვრებდა ეს დიდი მეფე, ლალი, უსწორო, ენა-წყლიანი, ობოლთ ნუგეში, სათნოიანი, უხვი, მართალი, მოწყალიანი.

მას ხელთა ეპყრა ძღვევის გვირგვინი ზეგარდმო მადლით, სხივით მოსილი, ვინც მტრად აღულდა, ყველა შეიქნა მისი ერთგული ყმაი მორჩილი.

დროშა-ალამი მტერთა მძლეველი დიდებით იყო აქ აღმართული, სხვილ ოქრო-მკედის ასოებითა ზედ ეს სიტყვები გამოქარგული:

«ენა მდიდარი, სარწმუნოება, სჯულისა დაცვა, მაღალი გრძობა, დიდ-სულოვნობა, პატიოსნობა, ამხანაგობა, ერთობა-ძმობა,

სწავლა, გონება, კაცთ მოყვარება, პირ-უთენელობა, ქირში არ მალევა, ერთგულთა ჯილდო და დაფასება, სამშობლოსათვის მტერთან შებრძოლვა».

განწყობილ იყო ციხე-ქალაქი, გამაგრებული სიმაგრეები, საკეთილ-დღეოდ ხელსა უწყობდა მეურნეობას შარა და გზები.

კაცს შეგნებითა თვალს მოსტაცებდა
 აქა-იქ მთებში წმიდა საყდარი,
 მათხვდა იყო ესრედ წარწერა:
 «ძლევა მოსილი მეფე თამარი».

გემოზე მორთულ უთვალავ ჯარსა
 აქ განაგებდენ ასის-თავები.
 ხმელად ბრწყინავდენ სასწავლებლები,
 ზღვებში ხომალდი, გემი, ნავები.

ლხინ ში ქართველი მოკლილსა დროსა
 საამო იყო რამ სანახავი,
 საფრხეში ჰქონდა ფოლადის გული,
 ბრძოლაში მკლავი დაუღალავი.

ესლა დედანი? (ნეტარ მათ სახელს)
 მარადის ჰქონდათ საღმრთო წყურვილი,
 მათი ცდა იყო, რომ აღეზარდათ
 მამულისათვის ერთგულნი შვილნი.

ერი გულადი, უხვი, პურადი,
 სწავლული, ბრძენი, ღეთისა მორწმუნე,
 თამარის დროსა მატთანმა
 უწოდა ოქროს მას საუკუნე.

აზრით მალაღმა, ენა მდიდარმა
 რუსთველმა ჩანგი აქ ააღვრა
 და ტკბილსა ქართულს პოეზიასა
 უკედავი სული იმან თშაბერა.

ესე დიადი გრძნობის ნაშობი
 დღემდის საფიქრად გახდა ივერთა,
 «ვეფხისტყაოსნის დედა-აზრები
 ქართველს ხორც-სისხლში აწ შეუერთდა».

იმ დროს მშვენიება რომ მთლად ასწეროს,
 უნდა მწერალი სახელოვანი,
 გახდა სანატრი, სახარბიელო
 დრო მათი ოქროს ყვეილოვანი.

ენატრულობ იმ დროს და სული სტკბება,
 როს მოვიგონებ წარსულ ქართველებს,
 ბევრჯელ კი გული ნაღელით მეცება,
 თვალთაგან ეაბნევი მღუღარე ცრემლებს.

დედაე ღეთისაო, საქართველოსკენ
 გეჭიროს მარად მოწყალე თვალი,
 შენი ხვედრია, კვლავ მოეც სწავლა
 და წარუმართე ცხოვრების კვალი.

გრიგოლ გ—ნავა.

ანდერძის ნაწივეტი.

როდესაც სიაც-სიმრუდის
 დრო შეიცვალოს სიმართლედ,
 ბნელის წილ გაჩნდეს ნათელი,
 ღამე გარდიქცეს სინათლედ,

ასი ლაჩარის მაგიერ
 ათასობით ჩნდეს გმირები,
 მათ აგვისრულონ ყოველი
 ნაქადი, დანაპირები,

მათი წყალობით ჩაგრულთა
 ჩარხი წაღმართად ბრუნავდეს,
 ყველა ერთად და ძმა ძმისთვის
 საკეთილდღეოდ ზრუნავდეს.

ძმი ძმისაგან მძლავრობით
 არ იჩაგრ-ითვლებოდეს,
 მტრობა და შური სიტყვითაც
 არე-სგან იხსენებოდეს,

მხარეთ ეს მკედარს საფლავში,
 ამას გთხოვთ სიყვარულითა,
 ეიცი, რომ ძელებიც დასტკბება
 ამ შეება სინარულითა.

რ. საფაოხელი.


საისტორიო მასალა.

ივანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი XIII-დამ
 შერთმეული.

შმაღლესო და უმოწყალესო, ხელომწიფე და
 მამაე, მეფეო სრულიად საქართველო-მსაო და სხვათა,
 გიორგი XIII.

შქვეშევრდამიდეხა ჩემ-მაიერ წინადადება.

სხვა და სხვა გვარმან ცვალებამან კანონთამან,
 უთანხმოებამან ღ უწესობამან მართებლობისამან, მოი-
 ყვანეს თითქმის სრულიად საქართველო-მსა ერნი გან-
 წირულებასა შინა; და ამა გარემოებასა შინა მყოფი
 აღყვანებულ იქმენ საყდარსა წინაპართა შენთასა, და



მისი იმპერატორებითა უმაღლესობა მეკვიდრე
 ცესარევიჩი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე.

მეკვიდრე ცესარევიჩის დანიშნული პრინცესა
 ზღის ჭესენას.



ქვეყნის ყოველსა ამას უწესობასა და წარუშართეობასა საქმისასა და უკეთუ ღონესა არა რაასამეობობობთ, ესე უბედურობაი იქმნების განგრძობელად. მე ქრისტიანულისა და ერთგულურობისა გულითა, თარცა მშობელისა მიწისა ჩვენისა ერთ-მემაძულეობათის, ვგრეთვე უმაღლესობისა თქვენისათვის, შევლელ ესგუარსა კანდიერებასა, და ესე ღონეა, რომელიცა იქმნების სარგებლოვანი და არც სამძიმოობათის, აქა მოვიხსენენ რაოდენნიმე მუხლნი სასულ-სადებელად ქვეშევრდომთა თქვენთა, და ქესთა მეფისა ძეთასა და სამღვდელთა თავადთასა, რომელ უკეთუ იქმნების სრულ-ყოფა ამისი, ესასოვებ, იათა ამის ძლით იდიდნეთ თქვენცა და სარგებელ ქმნენცა საზოგადოდ მსოფრებთა საქართველოვასა მინა.

მხედრობისათვის.

შირგულა. საჭირო არს, რათა იყოს მხედრობა ყოველთვის მზა სახითა ამით, რომელ ყოველსა თაყვანის ყმასა, ეკლესიის ყმასა, აზნაურის ყმასა, სამეფო არცა ხარჯი და არცა ბეგარა ეთხოვბოდეს, ათმან სულმან ანუ ათმან კომლმან ერთი კაცო მოგცენ თავისის პურიტ ხუთს წელიწადს, უცოლშვილო ყმაწვილი კაცი, და აგრეთვე თქვენის სახასოღამაც გამოიყენეთ *) ამ სახით, და ამით თქვენ მიეცით სამეფოს კოდის პურიტად, და ესე ჯარი შედგება ვიდრე ორი ათას კაცამდე; აქედამ რაოდენნიმე იქმნებიან თოფჩებად, და სხვანი თოფჩევე მყოფნი, ნოქრად წოდებულნი. და ესენი შემდგომად ხუთისა წლისა დაითხოვენ, რათა იქორწინონ და ნაცულად ამათსა სხვანი მოვიდნენ. ამა მხედრობასა შინა დაინიშნენ მეფის ძენი და თავად აზნაურნიცა, და ესენი განისწავლენ მსუბუქად რეგულის გვარად.

მეორე. ოცდა ოთხი ზარბაზანი დიდი და წვრილი უნდა შთამოიზახს და ესე იყოს ყოველთვის მზად გაწყობილი თავისი თოფჩებით სატარებლად, და ამაშიც იყოს მეფის ძე, თავადნი და აზნაურნიცა, მეციხოვნედცა აქედგან იყენენ დანიშნულნი.

*) გვერდთ უწერია: «ამათ გამოყვანაზედ იყუნენ რაოდენნიმე დიდი კაცი მიჩენილნი, რომ კარგი კაცი გამოარჩიონ».

ქ. აქედამ იყუნენ მეფის გუარის მტკვლნი ჯარულნი ანუ ქეშიგნი. და ამათი უფროსი იყოს ქეშიგნი ბაბაში; აგრეთვე მთის კაცნიცა ისევე იყუნენ ქეშიგად.

მესამე: ცხენოსანი ჯარი. რაც მსახურნი არიან, აგრეთვე თარხანნი კაცი, და თათრებისა მსახურნი, ალაღარის შვილები, და თარხანნი სომეხნი, აქედამ გაკეთდება ცხენოსანი ჯარი; ესენი კომლად იყუნენ, და ამათ მიეცეთ სამეფოს სახლიდამ პური და ცხენის საქმელი.

მეოთხე: მდევრობა როგორც არის ქართლსა-კახეთში, ის ისევე მოუშლელი იყოს, და ვინც მდევარს დააკლდეს, მოურავი ნუ მიიღებს მათ ნარბევს, არამედ მდევრის კაცმან დაუკლას საკლავი, ვის როგორც შეუძლიან, და შეუსონ ღვინო შეძლები-სამებრ სარბვეის კაცისა.

მეხუთე: ქართლსა შინა იყოს ოთხი სარდალი ამილახვართ, გარნა ამილახვარი იყოს მათ ყოველთა ზედან უპირველესი. ამილახვარი, თავის სასარდლოსა თვისთან დროშასთან იყოლიებდეს. ამაშიც ერთ-ერთი სარდალად სააბაშიოთა და საქვეფინის-ხეთი, სურამით და მის გარეშემო ადგილებით ვიდრე დირბამდინ რაც სოფლებებია, ამათი სარდალი იგი იწოდებოდეს. მესამე გალმა მხრისა, საციციანოსი სათარხნოსი და სხვათა სარდალად, ციციშვილი იწოდებოდეს. მეოთხე მუხრანის ბატონი, სამუხრანოსი, საარაგოსი და ქსნისა სარდალთ იწოდებოდეს. ხოლო სომხითსა შინა იყოს პირველი სარდალი ყაფლანის შვილი და თათრებსა შინა მოურავი, და ესენიც ხელ ქვეშე თავისის სამოურავოს კაცითა ამა ყაფლანის შვილისა ხელქვეშე იყენენ ჯარშია. აგრეთვე კახეთი იყოს, ოთხ სასარდალად განყოფილი, ხოლო პირველი იყოს ქიზიყის მოურავი ქიზიყით და სანდრონი-კო სავანძაძოთი, ეს ამის დროშის ქვეშ იყენენ. გურჯან-ზეით კაცი ვიდრე ანექტამდის იყოს ჩოლოყაშვილის ხელ ქვეშ. გალმა მხარი მთლად იყოს ბახტრიონს ქვევით, ვიდრე გავაზამდე ენისელ მოურავის ხელქვეშ. ხოლო გვერდის ძირი ჯიმიითდამ (?) მოკიდებული გელაჩურამდის იყოს ანუ მარტყოფის მოურავის ხელ-ქვეშ ანუ სავარჯჯოს მოურავის ხელ-ქვეშ. ამა ზემოხსენებულთ მხედრობათ მაშინ უნდა

გამოიყენებდნენ კომლად თუ ქუღზედ კაცსა, ოდესაც დასჭირდებოდა ქვეყანასა: ანუ სპარსნი მოვლენ, ანუ ოსმალნი და ანუ დალისტნიდამ დიდნი ჯარნი. ამა სარდლებთ ეყოლებათ თავადნი, აზნაურნი, მინბაშებიდამ მოკიდებულნი უზბაშებამდის, მოხელენი და აგრეთვე ქვეყანაი, თუ ვის რაოდენი მოხელე დასჭირდებოდათ, ამ სახედ: ყოველი სასარდლო სოფლები, რუშელიც დიდროვანია და ასი მეტი კაცი გამოევა, იმა სოფლებს უნდა ჰქონდეთ თითო ბაირალი, სხვა და სხვა ფერების, რომ იმით გაირჩეოდნენ ის სოფლები, და თავის ბაირალთან იმყოფებოდნენ პირველ მწყობრად, მეორე ბაირალთან მეორე მწყობრად, მესამესთან მესამე მწყობრად, და ესრეთ უშორეს; რომ ამით ადვილად დაეწყობა ჯარები და ყოველნი თავის ბაირალს მიმართვენ; ოდეს ბაირალტრები გავლენ და რიგზედ დაურჭმენ ბაირალთა, მაშინ თავთავის ბაირალისა მივლენან თავთავის ადგილსა. აგრეთვე წერილი სოფლები ორი-სამი ერთად უნდა შეერთდეს და იმათ აქუნდესთ ერთი ბაირალი.

ყოველსა სასარდლოსა უნდა ჰქონდეს ოროლი წერილი ზარბაზანი, და მათთვის იმათვე სასარდლოში უნდა იყოს გამოარჩეული თოფები, რომ იყენენ ნასწავლნი და ოდეს ჯარში ან მდევარში გამოვლენ, მაშინ ეს თოფები იქმნებიან ამა ზარბაზნებთან, და ამისთვის ან თავადი და ან აზნაური იქმნება უფროსად, და ამათ სატარებლად სასაფლოდამ უნდა იყოს ხარი თუ ცხენი.

აგრეთვე იყოს თოფიბაში და ამას ეხატოს ყოველი საჭირო ოსტადი: თოფა, ზარბაზანი, ტყვია, წამალი და თოფნი, და ცახებშიაც აქუნდეს ნაწილი.

(შემდეგი იქნება).

რუსეთის დედოფლის მოგზაურობა.

მისი იმპერატორებითი უღადებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტავისის დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითა და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძითურთ აბასთუმანში სცხოვრობდნენ მაისის 15-დგან 11 ივნისამდე. ამ დღეს საქართველოს დიდებულნი სტუმარნი გაემგზავრნენ

ბათუმს და იქიდგან ნოვოროსიისკზე კუ რსკო-ხარკოვო-აზოვის სადგურ «ბორკას», რადგან ამ თვის 14 დანიშნული იყო ახლად აგებულ ეკატერინის კურთხევა სწორეთ იმ ალაგს, სადაც 1888 წ. უბედურება დაემართა სამეფო მატარებელს.

შაბათს დალიდგანვე აბასთუმანი კვლავად მოირთო დროშებით, ყვავილები ხვეულებით. დალიდგანვე დიდის მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძის სასახლეს მიაწყდა დიდძალი ხალხი: რათა კიდევ ენახათ დედოფალი. აბასთუმანში დედოფალმა მრავალი ძვირფასი ოქრო-ვეცხლას და ბრილიანტების ნივთები დაუჩრია საჩუქრად.

დიდებულნი მგზავნი ახალციხეში მობრძანდნენ დიდის 11 საათზედ. ახალციხელები დაუხვდნენ დედოფალს ფოსტის სადგურთან «ურას» ძახილით. ხალხი, ჯარი მუზიკით, სასწავლებლების შეგირდები, ამქარი ორ ვერსის მანძილზედ იდგნენ გზია ორსავე მხარეს. აქვე მის უღადებულესობამ მიიღო მრავალი თბონა და გაემგზავრა ბორჯომა. აწყურში დედოფლის ეტლი არ შეუჩერებიათ. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. ბორჯომაში, სადაც იმპერატრიცას ეტლი მოვიდა ნაშუადღევს მეორე საათზე, მის უღადებულესობას და დიდებულ მოგზაურთ დაუხვდა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, სასახლესთან და გზაზედ დიდძალი ხალხი იდგა. აქ სასახლეში მის უღადებულესობამ და მათმა უმაღლესობამ ამალითურთ ისაუბრეს და შემდეგ ხაშურს გაემგზავრნენ.

სალამოს 5 საათსა და 45 წუთს რუსეთის დედოფალი, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე ამალითურთ ხაშურში მობრძანდნენ.

რკინის გზის სადგურები ლამაზად იყო მოართული ყვავილებით და ბაირალებით. სალამოზედ ჩიწალდანი იყო გამართული. რიონიდგან ბათუმამდე რკინის გზის ორივე მხარეს მაშხალები ენთო. სამეფო მატარებელი მარტო სამ სადგურზედ შეჩერდა: ყვირილაში, აჯამეთში და ლანჩხუთში. აქ დედოფალი დიდი ხანი იდგა ვაგონის ფანჯარასთან და ყურს უგდებდა ქართულ სიმღერებს და უყურებდა ვაგონის წინ მოცეკვავეთ.

სამეფო მატარებელი ბათუმს მოვიდა ლამის 1 საათსა და 20 წუთზედ. გენერლობა, ჯარი და დიდძალი ხალხი «ურას»-ს ძახილით მიგება. ბათუმში რკინის გზის ლიანდაგი ზღვის პარამდე განათებული

იყო ბენგალის ცეცხლით და მშენიერად იყო გა-
ჩირადღებულნი; ნავთ სადგური ელექტრონის ფარნით
იყო განათებული. მისი უდიდებულესობა ამალი-
თურთ მატარებლიდგან გადაბრძანდა «წმ. ნიკოლოზის»
გემში, რომელიც ღამის 2 საათსა და 15 წუთზედ
ნოვოროსისიისკენ წავიდა; ამ გემს უკან მისდევდა კა-
პიტანერკა «ღოანელა».

გამოუცდელად იღებდნენ სემინარიის პირველ კლასში.
წელს კი ეს წესი, როგორც სჩანს თბილისის სასუ-
ლიერო სემინარიის სამმართველოის მოწერილობისა-
გან, შეუცვლიათ. დღეიდან ოთხ-კლასიან სასწავ-
ლებლების სამმართველოებისაგან გაგზავნილ მოწა-
ფეებს სემინარიაში ეკზამენს დააჭერინებენ, და რო-
მელნიც მათში ღირსნი აღმოჩნდებიან, მარტო მათ
მიიღებენ სემინარიის პირველ კლასში.

ამ უკანასკნელ განკარგულებას მიზეზი, ჩვენის
აზრით ის უნდა იყოს, რომ ყოველ წლობით სემინა-
რიის პირველ კლასში შემომსვლელთა რიცხვი დიდი
იყო და ადგილები კაცოტა. ამიტომ ამ ბევრ
მსურველთა შორის ამოარჩევენ უფრო ნიჭიერ
ყმაწვილებს და მარტო იმათ მიიღებენ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ამა 1894 წელს იმერეთის საეპარქიო ქალების
სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში მიიღებიან
მთხოვნელები. მსურველთ თხოვნები საჭირო საბუ-
თებითურთ 20 მარიობისთვემდე უნდა შეიტანონ ამ
სასწავლებლის გამკეობის სახელზედ.

* *

ჩვენ ნამდვილად შევიტყუეთ, რომ ქუთაისის
კლასიკური პროგიმნაზია მომავალ სასწავლო წლი-
დამ გადაკეთებულ იქნება შვიდ კლასიან რეალურ
სასწავლებლად. სტიპენდიები, რომელიც დღემდე
ეძლეოდა პროგიმნაზიის მოწაფეებს, მომავალ სას-
წავლო წლიდამ მოისპობა და ეს ფულები რეალურ
სასწავლებლის შესანახავად იქნება დანიშნულა. ამავე
სასწავლებელს უნდა მოხმარდეს ის ფულებიც, რო-
მელიც დღეს ქუთაისის კლასიკურა გიმნაზიის პარა-
ლელური კლასების შესანახავად იხარჯება. რამდე-
ნადაც საჭირო და სასარგებლოა რეალური სასწავ-
ლებელი ქუთაისის გუბერნიის, იმდენადვე საჭიროა
პარალელური კლასებიც და პროგიმნაზიაც ამ უკა-
ნასკნელთა დახმარებითაც მერვე კლასს ძლიეს
ათაყებდა ოცი ოცდა ათი ყმაწვილი, უამათოდ კი მათი
რიცხვი აღზად ძალიან შემცირდება.

* *

წელს ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სას-
წავლებელ ში სწავლა დაასრულა 79 მოწაფემ. ამათში
49 მოწაფეს მიეცა ნება სემინარიის პირველ კლასში
შესვლისა.

* *

დღემდის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავ-
ლებლების სამმართველოსაგან გაგზავნილ მოწაფეებს

* *

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართ-
ველომ მიიღო მიწერილობა თბილისის სასულიერო
სემინარიის მთავრობისაგან. ამ მოწერილობის ძალით
ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში კურს
დამთავრებულნი ყმაწვილები 20 აგვისტოს უნდა
გამოცხადდნენ ეკზამენის დასაჭერად ან თბილისის და
ან ქუთაისის სასულიერო სემინარიაში.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

(სამღვდელო პირთა საყურადღებოდ).

ერთი პატივცემული მღვდელო გვწერს: «რას
უნდა მიაწეროს კაცმა ის მოვლენა, რომ ეხლანდელ
დროში ზოგიერთი ნასწავლი მღვდლები ლოცვნის
კითხვას ისე არ გასდევენ, როგორც ძველი მოზუ-
ცებულნი? განათლების ბრალია ეს, თუ გაუნათლებ-
ლობისა? თუ ძველი და მოზუცებული მღვდლე-
ბისათვის საჭიროა მწუხრს, სერობას და ციკარა»

ვარდა ლოცვის ლოცვების აღსრულება, რატომ ესევე საჭირო არ უნდა იყოს ნასწავლი მღვდლებისათვის? კარგა ხანია, რაც ეს წერილი მივიღეთ ჩვენ, მაგრამ არ გესურდა პასუხის გაცემა. რაც დრო მიდის, ისე ეს კითხვა თან და-თან ერცვლდება ჩვენს სანდვდლოებაში და როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით არა ერთს უთხოვინა ჩვენთვის ამ კითხვის განმარტება. ამისათვის ცხლა საჭიროთ მიგვაჩნია ჩვენი შეხედულება გამოგთქვით ამ კითხვის შესახებ და ისიც განმარტოთ, თუ რამდენად ვალდებულია მღვდელი აღსრულოს ყველა ლოცვები, რომელიც ეკლესიურის კანონით მას ვალდ ედგინება.

გამოცხილად უნდა ვსთქვათ, რომ ლოცვის ლოცვების აღსრულებაში თითქმის ერთ ნაირად კოქლობენ ყველა მღვდლები. მოხუცებული მღვდლები როგორც ნასწავლი, ისე უსწავლელი არც ერთ ლოცვას არ დასტოვებენ ლოცვანში, რომ არ წაიკითხონ. მაგრამ როგორ კითხულობენ ამ ლოცვებს? უმეტეს ნაწილად მთელს ლოცვანს მედავითნეს წაკითხებენ და იშვიათად იქნება, რომ თვითონ მღვდლებმა წაიკითხონ რამდენიმე. მოხუცებულნი მღვდლები არასოდეს წირვას არ ვაბედვენ, თუ ლოცვანი სულ არ წაიკითხეს. ლოცვანის წაუკითხაობა ისე მძიმეთ მიჩნიათ მათ, როგორც ცისკრის და მწუხრის დეტოება. თუ რაიმე მიზეზის გამო მოხუცებულ მღვდელს რომელიმე ლოცვა დაურჩა წაუკითხავი, წირვის შემდეგ მანც უსათუოდ წაიკითხავს მას; ერთი სიტყვით ყველასათვის და განსაკუთრებით სემინარიელ მღვდელთათვის გასაოცარია ის ერთგულობა რომლითაც მოხუცებულნი მღვდლები კითხულობენ ლოცვანში ყველა ლოცვებს, მაგრამ ამავე დროს გასაოცარია ისიც, თუ როგორ უყურადღებოდ და უგულოდ კითხულობენ ამ ლოცვებს ზოგნი. მოხუცებული მღვდლები უმეტეს ნაწილად ლოცვანს თვითონ კი არ კითხულობენ, მედავითნეს მისცემენ ლოცვანს ხელში და მას აკითხებენ, თვითონ კი იქვე მახლობლად დგანან და ზოგიერთი მამები ამ დროს

ოჯახში სხვა და სხვა განკარგულებას იძლევიან ხოლმე და სანამ მედავითნე «დაუჯდომელს, გმადლობის და წიარების ლოცვას წაიკითხავდეს, მღვდელი ოჯახურ საქმის განკარგულებას ათავენს კიდევ ასეც მოხდება ხოლმე: მედავითნე, მთავარი ან მღვდელი იწყებს ლოცვის კითხვას, სხვები ისმენენ; ლოცვის კითხვის დროს ერთი «კრიალოსანს» არაკუნებს, სხვები ერთი ერთმანეთს ემუსაიფებიან. გაიხსენებენ რაიმე ძველ ამბავს და სანამ ესენი ამ ამბავზედ ბაასს გაათავენდენ, მკითხველი უკვე ათავენს ლოცვას და ამ ლოცვის გათავენას შეიტყობენ ხოლმე ეს მამები მხოლოდ მით, რომ მკითხველი წიგნის კითხვას ანებებს თავს.

თვითონ ჩვენის თვალთ გვინახავს უმეტესად მოხუცებულ სასულიერო პირთა შორის ისეთი მღვდელი, რომელიც ცისკრის იწ სხვა საზოგადო ლოცვის დროს კითხულობდენ ლოცვანს, მხოლოდ ასამაღლებელის წარმოთქმის დროს შეწყვეტდენ. ენახეთ ერთი დიდად დამსახურებული რუსის არხიმანდრიტი, რომელმაც წირვის დაწყების დროს პირველი ასამაღლებელი წარმოთქვა თუ არა, დაღვატრაპეზის გვერდზედ და დიდი მშვიდობიანის გათავენ ბამდისინ ზიარების ლოცვას კითხულობდა...

ახალი ნასწავლი როგორც აკადემიელი, ისე სემინარიელები და ოთხ კლასიან სასწავლებელში კურს დამთავრებულნი სრულებით არ შეიძლება შეადაროთ ძველ მღვდლებს. თუ როგორ იქცევიან ესენი «ლოცვის» კითხვის შესახებ ამას შემდეგ ნომერში მოუთხრობთ მკითხველს.

შინაპრსი: სალიტურატურა განყოფილება:
 საზოგადოების საგულისხმო. — რა არის ცოდების მისაღვებელი ქალღმერთი? — ორიოდ სიტყვა გურიის სამღვდლოების საუურადლო. — წერილი რედაქციის მიმართ. — მწარე თქმულები. — სიტყვა, წარმოთქმული აკაკის მიერ ქართლის თავადაზნაურობის წინაშე. — წერილი რედაქციისადმი. — კურნალ-გაზეთები. — დრო თამარ მეფისა. — ანდერძის ნაწყვეტი. — საისტორიო მასალა. — ახალი ამბები და შენიშვნები. — საეჭვო კითხვების განმარტება.